შაბათი 1919 წ. აპრილის 26 № 89
წელიწადი მეხუთე

შაბათი 1919 წ. აპრილის 26 № 89
ფ ა ს ი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სოფიო ნიკოლოზის ასული ლეონიძისა შვილებით: ევგენია, ნინო, ლევან, სვიმონ და გოგლა ლეონიძეები; შალვა, ირაკლი, კიკო და ლეო მათიკაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებთ, რომ პირველის დისწულის და მეორეთა ძვირფასს დეიდაშვილის

ვალიკო კოზმოვის

40 დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 27 აპრილს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

დეკანოზი ვასილი, მეუღლე ნინო, შვილები: ვანიკო და ტასო კოზმოვები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ ქ. დუშეთში უდროოდ დაღუპულ შვილის და მეორეთა ძმის

ვალია ვალენტინი კოზმოვის

40 დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში კვირას, 27 აპრილს. (1—2332—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მიხეილი იასონის ძე, მარიამ ნიკოლოზის ასული ოქროპირიძენი შვილებით: თამარა იასონის ასული მინა მალაქიას ძე მარუაშვილები გოგიათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ შაბათს, 26 აპრილს, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქარელის წყარო-ცხოვრების ეკლესიაში

დეკანოზ იასონ სოლომონის ძე

ოქროპირიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3—2325—2)

გიორგი ნიკოლოზის ძე კვეზერელი-კოპაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას 27 აპრილს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ ცოლისა და დედისა

თამარა ლუკას ასულის კვეზერელი-კოპაძისა

წირვა დაიწყება დილის 10 საათ. პანაშვიდი 12 საათ. ავლაბრის წმიდა მარინეს ეკლესიაში. (2—2331—1)

ლექტორის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლექტორის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—23

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საფრანგულო

საბავშო ბაღი

ბიბინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი ტელ. 2-04.

12—2289—9

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—27

ვაზის, ტომატის და სხვა მცენარეთა შესაკონავად ფუთობით იყიდება

დრაცენა

ელისაბედის ქუჩა, № 105—ეზოში 10 საათ. 12 ს.-მდე.

1—2311—1

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

განცხადება

თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის რწმუნებულთა წლიური კრება დანიშნულია 4 მაისს ბანქის დარბაზში.

კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება გამგეობისა და საბჭოსი.
2. 1918 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
3. 1918 წლის მოგების განაწილება.
4. 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. საკითხი ბანკის წარმოების გაფართოების შესახებ.
6. საკითხი მეღვინეთა „კავშირთა კავშირში“ ჩაწერის შესახებ.

7. ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.

1. საბჭოს წევრებისა ნაცვლათ ლაზარე ნინიკელაშვილისა, ილიკო მინდორაშვილისა და ალექსი ყარაულაშვილისა (პირველ ორს ვადა გაუვიდათ, უკანასკნელი ომში დაიღუპა).
2. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრებისა ნაცვლათ ილია გორდეზიანის და ზაქარია კლიმიაშვილისა, რომელთაც ვადა გაუვიდათ.
3. ერთის რწმუნებულის კახეთის [illegible]ში, ნაცვლათ ალექსანდრე ვახვახიშვილისა, რომელსაც ვადა გაუვიდა და სხვა.

ამხანაგობის გამგეობა.

(1—50—1)

იყიდება 2 საორთქლო ქვაბი. ერთი 100 ძალიანი მეორე 15 ძალიანი გარდა ამისა 4 ნახმარი რეზერვუარი. და 200 სექცია ღუმელი ცენტრალურ გათბობისათვის.

ვერის დაღმართი № 7.

(2—2327—2)

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, აპრილის 28-ს

ქართული ტანსავარჯიშო საზოგადოება

„შევარდენი“

ჰმართავს პირველ ტანსავარჯიშო

საღამოს

1.

ქ-ნ შულგინას, კალანდაძე—აგახოვის, პიტკოს; ბ-ნ სარაჯიშვილის, პოლიაევის, ინაშვილის, ქურხულის მონაწილეობით

დ. არაყიშვილის ოპერა.

თქმულება შოთა რუსთაველზე

2.

ტან-ვარჯიშობა

ა) ბავშვთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ბ) ბავშვთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. გ) ქალთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. დ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. ე) ქალთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ვ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. ზ) ვაჟთა თავისუფალი ვარჯიშობა (3 ვარჯიში)

3.

ა) სიმბოლიური სურათი (საქართველო და „შევარდნობა“). ბ) საერთო ჯგუფი.

ყველა ვარჯიშობის დროს დაუკრავს მუსიკა.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

შაბათს, 26 აპრილს წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

კვირას 27 აპრილს დილით საბავშო წარმოდგენა, საღამოთი „ფაუსტი“.

კვირას, აპრილის 27-ს, შუადღის 11 ს. ქართულ კლუბში დანიშნულია

საქართვ. ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისელ წევრთა საზოგადო კრება

საკითხები: პარტიული მუშაობა თბილისში.
2. თბილისის კომიტეტის მოქმედების ანგარიში.
3. თბილისის კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

## სომხეთის განმეორებული პრეტენზიები

ტერიტორიით იწყება ყოველი ეროვნულ სახელმწიფოებრივი არსებობა და ტერიტორიითვე თავდება. საკმაო გაშლილობა და გარშემო მტკიცე ზღუდენი, ამისთვის იბრძოდნენ და ამისთვისვე იბრძოლებენ ერნი და სახელმწიფონი. ზღუდე შემორღვეული, ან უტერიტორიოდ გაფანტული ხალხი, ჰკვდება ეროვნულად, ჰქრება სახელმწიფოებრივად. მიწა-წყლის ნაკლებობა-სივიწროვე, ერის ფილტვებს ასნეულებს, ახშობს; მის სიმრავლეს ამცირებს და საემიგრაციოდ სხვაგან ამგზავრებს, სადაც გადაგვარება უცდის და დარაჯობს. საქართველომ ყველა ეს მდგომარეობა განვლო, როგორც ცოცხალმა და სხვა ხალხთა რკალში მომქმედმა ორგანიზმმა. ყოველი თაობის თანშობილი მისალწევარი იყო და არის საუკუნეებით შექმნილი ოპტიმუმი პირობების აღდგენა და შენარჩუნება სახელმწიფოებრივად არსებობისათვის. მეცხრამეტე საუკუნემ ზღუდეები შემოგვირღვია, მამა-პაპეულ მიწა-წყლაზე სხვა ხალხი და თესლი ჩაგვითესა, თვით ქართველთა ჩამომავლობას გასაქანი შეუვიწროვა და იძულებული გახდა საქართველოს საზღვრებ იქით თავშესაფარი ეძია. სულთამხუთავი და გადამგვარებელი დიდი მაჯლაჯუნა თავიდან მოვიშორეთ და ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონობა ჩვენვე ჩავიბარეთ. მოვალეობა და დანიშნულება ჩვენი ის არის, რომ საქართველო აღვადგინოთ იმ საზღვრებში, რომელიც საუკუნეთა ბრძოლასა და შეხლა შემოხლას მუდამ და ყოველთვის საქართველოსთვის დაუნარჩუნებია, როგორც მისი ბუნებრივი ფარი და კედელი. საქართველოს კალაპოტი საუკუნეთა მანძილზე ღრმავდებოდა რომ ბოლოს მიეღწია იმ ოპტიმუმადე, სადაც ერის ეკონომიურ-კულტურული ძალები თავისუფალ განვითარებას შესძლებდნენ სტრატეგიულ უშიშროების ერთგვარის უზრუნველყოფით. ერის შემოქმედებამ და ძლიერებამ მიაღწია მის შინაგან მოთხოვნილებას და გარემო ფარგლების სითანაბრეს, ეკილიბრს. ყოველთვის, როდესაც ამ გარემოს ფარგალი შეუვიწროვდებოდა და ზღუდეები აეყრებოდა, —მეორდებოდა ერის შინაგან ძალთა მოქმედება და გარეთ გამოცხადება; თაობა-თაობაზე მოუსვენრად იბრძოდა, სანამ კვლავ არ იქნებოდა აღგენილი დარღვეული ეკილიბრი. დღესაც უდიდესი ჩვენი დანიშნულებაა ამ დარღვეული სითანაბრის აღდგენა. ჩვენი პრეტენზიები ცოცხალსა და საქართველოს უდავო ტერიტორიას არ გასცილებია და არც გასცილდება. ხოლო ეს ცოცხალი ქართული ტერიტორია ყველასათვის ცხადია ადვილ დასანახი.

ძველის ადმინისტრაციის ტერმინოლოგიით, ეს გახლავთ: ბათომ-არტაანის მხარე, სოხუმისა, სოჭისა და ზაქათალის ოლქები და თბილისის და ქუთაისის გუბ. თბილისის პროვინციის იმ სტრატეგიულად აუცილებელის სანაპირო მხარეებით, რომელიც რუსთა მართველობამ ადმინისტრატიულ გადამიჯვნის დროს თბილისის პროვინციას ჩამოსჭრა. არავითარი დავა არ შეიძლება იმაზედ, რომ ეს საქართველოს ცოცხალი ტერიტორიაა, მისი ცოცხალი სხეულია, რომ ეს ყოველთვის იყო საქართველოს ხელმწიფების სარბიელი. არც ერთ მტკაველ მიწაზედ ამ ფარგლის შიგნით არასოდეს არ ყოფილა არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი, არც ვინმე სხვა. უხსოვარ დროიდან ამ ტერიტორიაზე აღზრდილა ქართველების სხეული; მისი ისტორიული სახე და და კულტურა, მისი ხელმწიფობა აქ შექმნილა.

და წინააღმდეგ ამ ისტორიული სიცხადის, წინააღმდეგ ამ ცოცხალი სინამდვილისა, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა კიდევ არ იშლის და სომხეთის უდავო ტერიტორიად აცხადებს ინგლისის მისიის საყურადღებოდ მცირეოდენის გამოკლებით ახალქალაქ-ბორჩალოს მაზრებს და მთელ ყარსის ოლქს!

საერთაშორისო პოლიტიკა დღეს წარსულ შეცდომათა და ძალმომრეობათა გამოსწორებას ცდილობს, რომ წართმეული ტერიტორია-მოსახლეობა მის კანონიერ პატრონს დაუბრუნდეს და საქართველოც სრულიად სამართლიანად მოელის რომ მასვე დაუბრუნდება მისი კულტურის ბუდე და ლაზეთი, რომელიც მებრძოლ ისლამის მიერ დამარტოხელავებულმა საქართველომ დაჰკარგა შავ-ბნელ საუკუნის უსწორო ბრძოლაში. და თქვენ გნებავთ, რომ დღეს საქართველომ თავგაუწირველად ხელი აიღოს მის ცოცხალ სხეულის ნაწილებზე და უომრათ და სიცოცხლის ამ უდიდესი მსხვერპლის - შეუწირველად სომხეთის საბუთად ჩაითვალოს რუსეთის ძალმომრეობით შექმნილი სინამდვილე—დასახელებულ მაზრებში სომხების მოსახლეობა და სომხეთს დაუთმოს ის მიწა-წყალი, რომელიც არასდროს მისი არ ყოფილა!

ეს ყოვლად შეუძლებელია!

განა ქართველი ხალხი იმიტომ იბრძვის და სისხლს იმიტომ ღვრის არტაანისა და სოჭის მიმართულებით, განა საქართველოს ამ ნაწილებს ქართველი დემოკრატია იმიტომ იბრუნებს უზენაესი მსხვერპლის გაღებით, რომ მეორეს ხელით სომხეთს დაუთმოს საქართველოს პირველი სამკვიდრებელი და მასთან დიდი სარეზერვო ფონდი: ბორჩალო, ახალქალაქი და არტაან-ოლთისი?!

ასეთი წინააღმდეგობა უცნობია ხალხის პირდაპირი უშუალო გრძნობისა და მის უფლებრივ შემეცნებისთვის.

დღეს, როდესაც თბილისში კავკასიის რესპუბლიკათა და მათ შორის სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები სათათბიროთ არიან შეყრილი, გარდაუვალ საჭიროებად მივიჩნიეთ, საერთო ინტერესის იდეის გულისთვის, კატეგორიულად გაგვეხაზა ჩვენი აბსოლუტური აჯანყება სომხეთის ასეთი პრეტენზიების წინააღმდეგ და წინასწარ გვეთქვა ქართველი ხალხის ერთად-ერთი და ბუნებრივი პასუხი სომხეთის ამგვარ განცხადებაზე.

თუ სომხეთს გულწრფელად სწადია საქართველოსთან შეთანხმება მასთან ერთად სიარული საერთო ინტერესისათვის, მან ხელი უნდა აიღოს ამ ყოვლად უმზგავსო პრეტენზიებზე.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის მთავრობას საქართველოს მიმართ გულში ასეთი გამანადგურებელი გეგმა უდევს და ამავე დროს კონფერენციაზე წარმომადგენელს გზავნის... ალბათ თუ „თეთრი კბილის“ გამოსაჩენად. ეჭვი ერთი წუთითაც არ ეპარება, რომ შეიძლება ასეთი პრეტენზიების ავტორს, მეორე მხარემ სიტყვაც არ გაუცვალოს მაგრამ მან გამოცდილებით იცის და წინასწარ ვარაუდობს საქართველოს მთავრობის გულუბრყვილობას.

ჩვენ ხმა მაღლა ვაცხადებთ ჩვენი მთავრობის გასაგონად, რომელიც სომხეთთან გამართულ ორივე კონფერენციიდან ორჯერვე დამარცხებული დაგვიბრუნდა: კაბინეთში საქართველოს გამოძებნის უფლება მას არ აქვს. იგი ვალდებულია საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა დაიცვას და გაანაღდოს ყველა ის დეკლარაცია, რომელიც ქვეყნის გასაგონად პარლამენტის ტრიბუნიდან სხვადასხვა დროს წარმოუთქვამს. თორემ ქართველ ხალხისა და ტერიტორიის დამცველ-დამბრუნებელ ქართველ მეომართა რისხვა მას ჯეროვან პასუხს მოსთხოვს!

# უკანასკნელი ცნობები

ჩვენმა ჯარებმა არტაანის მხარეს წინად აღნიშნულ 8 ზარბაზნის გარდა კიდევ 33 ზარბაზანი წაართვა მტერს.

რუმინიის ჯარი ჰუნგრეთის ტერიტორიაზე შეიჭრა.

შევკი ფაშა ინგლისის სარდლობის ბრძანებით დააპატიმრეს.

საფრანგეთიდან ჩამოსული რუსის ჯარი ბოლშევიკებს დანებდნენ.

ოლონეცის მიმართულებით ბოლშევიკებმა მეჩრეცკაია დასტოვეს, ხოლო იუზოვის მიმართულებით იუზოვო ოლაჩენკოვო და ავდეევკა აიღეს.

## პრესსა

გაზეთი „ერთობა“ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას თვის მორიგ მეთაურს უძღვნის. რედაქცია ივიწყებს, რომ იგი მთელი საქართველოს ხელმძღვანელია და მაშასადამე პასუხისმგებელი ორგანოა, რომ მას აწევს მთელი რეალური პოლიტიკის წარმოება ყველა მისი დეტალებით და კონკრენტიზაციით და რომ ამ დეტალებს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ხშირად პირველ ხარისხოვანი საარსებო მნიშვნელობა აქვს. გაზეთი ძველი იდილიის ჰანგზე ამღერებულა, ზოგადობაში ნავარდობს და ჩომ კილო გაიადვილოს, ივიწყებს ეროვნულ შინაარსს და განსხვავებულ ინტერესს სახელმწიფოისას, და კლასობრივ სოლიდარობის თილისმით წარმოუდგენია კავკასიის დემოკრატიათა გაერთიანება. იგი სწერს:

„ამ ერთობის ხანამ უკვე განვლო, გაიარა, უცხო ძალა წავიდა, რევოლუციის აღფრთოვანება მინელდა, კლასობრივი ცხოვრების სიმწვავე მთელი თავის სიგრძე სიგანით წინ წამოიჭიმა, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ პირობების გამო კლასთა ბრძოლამ აქ ადგილობრივ ეროვნული მანტია მოაბა, ერთა ბრძოლის სახე მიიღო დამით მთლიანობის პირველი, რომანტიული ხანა დასრულდა მთლიანობის დარღვევით“.

„ერთობას“ ახალი საფუძვლის გათიშვის მწარე გაკვეთილები უნდა გახდეს შეთანხმების საბუთათ და მას უნდა საძირკვლათ ჩაედვას რეალური ინტერესები დემოკრატიის, მასსის, რომელიც არის იმავე დროს გარდაუვალი ინტერესი სამივე რესპუბლიკების, რომელნიც ამიერ-კავკასიის სინამდვილეში არსებობენ. უნდა შეისხას ხორცი და სისხლი იმ ლოზუნგებში, რომელთათვის იბრძოდა დემოკრატია, უნდა მიიღონ მათ კონკრეტიული, ხელშესახები გამოხატულება“.

„ერთობას“ არა ჰსურს დაინახოს, რომ სომხეთის ჯარების საქართველოში შემოჭრას, ისე როგორც საქართველოს საზღვრებში მტრულად განწყობილ რუსების და სომხების მოქმედებას კლასობრივი დანიშნულება კი არ ჰქონდა, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური. სოციალიზმს ერთხელაც არ ამყარებს საქართველოში და ბურჟუაზიული წყობილებას, სომხეთში დაშნაკელებიც ამკვიდრებენ. ვარწმუნებთ „ერთობას“ რომ საქართველომ სომხეთს დაუთმოს ის ბორჩალო-ახალქალაქი-არტაანი-ოლთისი, რომელსაც სომხეთის მთავრობას თავისთვის რაცხს და თვითონ სურამის ქედს იქით გადაიხიზნოს და შეიკუმშოს, სომხეთის ჯარი „ერთობას“ არ დაედევნებოდა ქართული რევოლიუციის ჩასაქრობად.

საკითხავი ისაა, თუ სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დასახელებული ადგილების წართმევა დაუპირეს, „ერთობის“ პუბლიცისტები ამ ორი ხალხის, ორი დემოკრატიის ინტერესთა ერთი და იგივეობაზე მაინც იმღერებენ, თუ არა? და ბრმა უნდა ვიყოთ, რომ სომხეთის ამ ტერიტორიულ პრეტენზიებს არ ვამჩნევდეთ. ამით კლასობრივი ინტერესი კი არ ილახება, არამედ ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომელიც ამგვარ პრეტენზიას ვერ შეიწყნარებს და მის წინააღმდეგ ყოველთვის გაილაშქრებს. კეთილ-მეზობლობა და შეთანხმება, რომლის დარწმუნებული მომხრენი ვართ, მხოლოდ მაშინ შეიძლება, ურთიერთის ეროვნული უფლება და ინტერესი მართებულად იქნება გაგებული და დაცული. და ეს არც ძირითადი სადაო საკითხის მიჩქმალვით არ მოეწყობა, და არც კლასობრივი სოლიდარობის ქადაგებებით და ერის სპეციალურ სახელმწიფოებრივ ინტერესის მივიწყებით.

## ერთი განაჩენის გამო

ივანე კაჩუხაშვილისა და გრიგოლ ვეშაპელის პროცესს საოლქო სასამართლოში პირადათ არ დავსწრებივარ, მაგრამ შევიტყე, რომ ამ პროცესის დამთავრების შემდეგ დამსწრეთაგანს ბევრს კმაყოფილებით აღუნიშნავს: კიდევ არის სამართალი საქართველოში!

ეს არ იყო ინდივიდუალური პროცესსი განსაკუთრებით: ივანე კაჩუხაშვილის პიროვნება სასამართლოს სხდომის სამი დღის განმავლობაში ხშირად იჩრდილებოდა და სრულიად სხვა გარემოება და სფერო იპყრობდა მსმენელთა გულისყურს. როგორც ერთი ფრიად მნიშვნელოვან მოწმის განცხადებიდან გამოირკვა, ივანე კაჩუხაშვილს მეტის მეტად საპატიო ადგილი სჭერია სოციალდემოკრატიულ პარტიაში, ამ პარტიის „დაჟინებითი მოთხოვნით“ მიუღია „მსხვილი თანამდებობა ადმინისტრაციაში და იმავ პარტიაში „დღესაც ისეთივე ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს, როგორითაც წინად“.

აღსანიშნავია ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი: ივანე კაჩუხაშვილის ადვოკატს უთქვამს სასამართლოში, რომ გ. ვეშაპელის გამართლებით სასამართლო დაადასტურებს მისი კლიენტის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და ეს, თავის თავად ცხადია, მომჩივანის მორალური სიკვდილი იქნებაო. როგორც ვიცით, საოლქო სასამართლომ სამი საათის თათბირის შემდეგ გ. ვეშაპელი გაამართლა და, მაშასადამე, სოციალდემოკრატიული პარტიის სრულის ნდობით აღჭურვილი ივანე კაჩუხაშვილი მორალურად შეარცხვინა.

ორში ერთი: ან ივანე კაჩუხაშვილი „ანგელოზი უნდა ყოფილიყო“, მოწმე გერასიმე მახარაძის სიტყვებით რომ ვსთქვათ, და „კლდის“ რედაქტორის ბრალდება თავიდან ბოლომდე დაუსაბუთებელი და უმსგავსი განზრახ ჩადენილი ცილისწამება, ან ივანე კაჩუხაშვილი მართლაც „მექრთამე ადმინისტრატორი“ ყოფილა და გ. ვეშაპელს საფუძველი ჰქონია თავის გაზეთში დაეგმო მისი „სამარცხვინო მოქმედება“. და ჩვენ სწორედ ასე გვესმის საოლქო სასამართლოს ვერდიქტი! „პარტიის ნდობითა და პატივისცემით“ დამსახურებულ ივანე კაჩუხაშვილის „მოღვაწეობა“ ავტორიტეტულ დაწესებულებამ დაჰგმო, როდესაც მის მიერ პასუხისგებაში მიცემული გ. ვეშაპელი სასამართლოთი გამართლებულად სცნო!

ივანე კაჩუხაშვილმა პასუხისგებაში მისცა „კლდის“ ხელმძღვანელი და სასამართლოში მას და მის მიერ გამოწვეულ მოწმეთ უნდა ეკისრათ onus propandi. მაგრამ ვერც ივანე კაჩუხაშვილმა, ვერც მისმა პატეტიურმა დამცველმა და ვერც, მით უმეტეს, მათ მოწმეებმა ვერ შესძლეს ბრალდებათა გაბათილება, თუ შესუსტება და „საქირო და გამოცდილი“ ადამიანი, რომელსაც „პარტიამ ძალა დაატანა“ დათანხმებულიყო თვალსაჩინო ადმინისტრატიულ ადგილის მიღებაზე, პირუთვნელ მსაჯულებმა ვერ შეინდეს.

მექრთამეობამ და საზოგადოთ ხაზინის ქონების მითვისებამ ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი უსაზღვრო გასაქანი მიიღო, რომ ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა და არც არავის აკვირვებს.

ვინ არ იღებს დღეს ქრთამს? ვინ ჰზოგავს სახელმწიფო სამკვიდრებელს და, ვულგარულად რომ ვსთქვათ, „ხელს არ იბანს“ მიკუთვნილ თანამდებობით?! ივანე კაჩუხაშვილის პროცესსი ერთს ახალ „შტრიხს“ ჰმატებს ჩვენი ცხოვრების უთავბოლობასა და დაუსრულებელ ვაკხანალიას. სახელმწიფოში გაბატონებულ პარტიის „ნდობითა და პატივისცემით“ სარგებლობენ დღესაც ისეთი სუბიექტები, რომელთა შესახებ ყველა გაჰკივის: მექრთამეაო! კიდევ მეტი: ასეთი სუბიექტების შემწეობით პარტიის ცენტრალური კასსაც სისტემატიურად სარგებლობს. სასამართლოში ხომ დამტკიცდა, რომ სოციალდემოკრატების ცენტრალურ კომიტეტის კასსაში ივანე კაჩუხაშვილის „ადმინისტრატორობის“ დროს უხვი შეწირულებანი იგზავნებოდა...

საოლქო სასამართლოს განაჩენი უცილობლად საზოგადოებრივ მნიშვნელობისაა: ეს ერთად ერთი პროცესსი იყო, სადაც მექრთამეობა და ხალხის გაყვლეფა ასე გაშიშვლებული წარსდგა კანონისა და წესიერების დამცველ ორგანოს წინაშე და მისგან შესაფერი მსჯავრიც მიიღო.

ივანე კაჩუხაშვილის სახით მართლმსაჯულების მოსამსახურეთ მრისხანე განაჩენი გამოუტანეს რესპუბლიკაში გაბატონებულ სისტემას და ნათლად დაანახვეს ხალხს, რომ ნამდვილი სასამართლო და დამოუკიდებელი მოსამართლენი საქართველოში მოიპოვებიან და „საქირო და გამოცდილი“ სუბიექტები მათგან ერთსა და იმავე მსჯავრს მიიღებენ მუდამ...

რ. ინგილო.

## აჯანყება დენიკინის წინააღმდეგ სოჭის ოლქში

ნოვოროსიისკის გაზეთ „ჩერნომორსკაია გაზეტა“-ში აპრილის 2-ში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი სოჭის ოლქში აჯანყების თაობაზე: „მარტის 20—22 ჯარში გასაწვევ გლეხთა ნაწილი, განსაკუთრებით ქართველებმა და ესტონელებმა აჯანყება მოახდინეს იარაღით ხელში, როგორც სჩანს იარაღი ქართველებისგან აქვთ მიღებული.

ყველა გაწვეული სომხის გლეხები და თითქმის ყველა რუსობა სოჭის ოლქისა რუსეთის ერთგულათ დარჩა. სომხისა და რუსებისაგან შემდგარმა რაზმებმა, ყაზახების ბატარეამ და ნოვოროსიისკის დესანტმა მარტის 29 ბრძოლაში გაანადგურა „მწვანე არმია“.

—

„აჯანყება, როგორც გადმოქვცმენ ქართველების მოწყობილი იყო. ისინი ჰფიქრობდნენ, რომ მოხალისეებს, რომელნიც გართულნი არიან დონსა და ყირიმში და თითქოს თავზარდაცემულნი არიან ფრანგების წასვლით რუსეთიდან, გაუძნელდებოდათ დეზერტირების დამშვიდება. დეზერტირების ურიგობანი საბაბს მისცემდა ქართველ ეს-დეკებს დაეჭირათ ჯერ სოჭი, მერე ტუაპსე და შემდეგ არხიპოსოვკა. აქ განზრახული აქვთ დროებით შეჩერდნენ, რომ შემდეგ აიღონ ნოვოროსიისკი, თუ გენერალ დენიკინს დიდი დამარცხება შეხვდება დონში“.

—

„მეამბოხეებმა შეჰკრიფეს რაზმი 2,000-მდე და აიღეს ქ. ხოსტა, რომელიც სოჭსა და ადლერს შუა არის. დააპატიმრეს რაზმის უფროსი და ქალაქის თავი. „სტრაჟნიკებსა“ და მცხოვრებს აჰყარეს იარაღი სჩხრეკდნენ ბინებს, მიჰქონდათ ფული, ვერცხლი, ოქრო და სხვა ძვირფასეულობა.

კრასნაია პოლიანაში მეამბოხეებმა დააპატიმრეს კაპ. მიხაილოვი. მისი ბედი გამოურკვეველია. მეამბოხეებმა ხოსტაში დაჰყვეს ერთი დღე. აქედან გაემართნენ სოჭისაკენ.

სოჭის ოლქში გამოცხადებულ მობილიზაცით ყველა გაწვეული სომეხი ბერძენი და უმრავლესობა რუსის და ქართველების გლეხობისა მორჩილად გამოცხადდა გასაწვევ ცუნქტზე. მაგრამ გოლიცინის, კორშის, კრასნაია პოლიანას და სხვა სოფლების ქათველ და რუსის გლეხობის უმრავლესობისა გაიხიზნა მთებში მასწავლებელ კილებერის მოწოდებით, რომელიც თავისთავს ბოლშევიკს უწოდებს. ამბობენ დეზერტირებს იარაღი—3,000 ვინტოვკა და ოფიცრობა ქართველებმა გაუგზავნესო. ქართველებმა ნება მისცეს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს ამიერ-კავკასიის გზით შესულიყვნენ სოჭის ოლქში.

მეამბოხეებმა აიღეს ხოსტა და გამოჩნდნენ ზღვის პირას, აგრეთვე ადლერის სამხრეთით. მარტის 27 ერთმანეთს მოწყვეტილი იყო შავი ზღვის ნაპირების მნიშვნელოვანი პუნქტები გაგრა, ტუაპსე ადლერი. სოჭაში იმყოფებოდა შავი სახადით ავადმყოფი კავკასიის ჯარის მთავარსარდალი გენერალი ბარონი ვრანგელი. ინგლისელებმა დაუყონებლივ გამოგზავნეს ფოთიდან სოჭაში ორი ნაღმოსანი. ერთ ნაღმოსანზე გენ. ვრაგნელი ოჯახობით სოჭიდან ტუაპსეში წავიდა. მეორე სოჭაში დარჩა.

„მარტის 28 ნოვოროსიისკიდან გადმოვიდა სოჭაში დესანტი ყაზახების ორი ასეული ბოლო ცნობების თანახმათ აჯანყება მოსპობილია.“

## მთავრობის წრეებში

15 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**ოჯახის ერთად-ერთ მარჩენელთა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლება.**

კანონ-პროექტი ოჯახის ერთად-ერთ მარჩენელის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მოწონებულ იქმნას და დასტურისათვის გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სამხედრო პირთა ხარისხისათვის.**

კანონ-პროექტი სამხედრო უწყების ხარისხოსანთა შესახებ დებულების ცვლილებისა და ოფიცერთა და სამოქალაქო მოხელეთა შემდეგ ხარისხზე აყვანისა მოწონებულ იქმნას და დასტურისათვის გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**ფოთის სამხედრო პორტი მოხელეთათვის.**

სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის განკარგულებაში გადაიდოს სამხედრო კრედიტიდან 105,453 მ. ფოთის სამხედრო პორტის პირად შემადგენლობის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

**შემფასებელი კომისია.**

სატრანსპორტო საზოგადოებისათვის გადასაცემ ქონების დამფასებელ კომისიის წევრებად დაინიშნონ: ივ. ყიასაშვილი და დ. კახელაძე.

**სასინჯადო განყოფილება.**

გაუქმებულ იქმნას ამიერ-კავკასიის სასინჯადო განყოფილება. დაარსდეს სასინჯადო განყოფილება სამთო სამმართველოსთან. გადაიდოს ამ განყოფილებისათვის ამ წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 22, 22,625 მ. და სალიკვიდაციო 2,000 მ. სულ 24,625 მან.

**საზომ-საწონთა პალატა.**

ა) გაუქმდეს თბილისის საზომ-საწონთა პალატა № 24. ბ) დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის საზომ-საწონი პალატა. გ) წარმოდგენილ შტატებში მოულოდნელი ხარჯებისათვის ნავარაუდევი თანხა 2,000 მან. მიემატოს სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებს. დ) გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან საზომ საწონთა პალატის საჭიროებისათვის სულ 28,708 მ. და 33 კაპ.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკ თა კონფერენცია.

გუშინ 25 აპრილს მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთში მოხდა პირველი შეხვედრა ამიერ-კავკასიის ერთა წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა.

მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ადმინისტრატიულ საკითხების შესახებ, რომლის შემდეგ გადასწყვიტეს კონფერენციის პირველი სხდომა მოხდეს კვირას 27 აპრილს დილის 11 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე.

კონფერენციაზე დელეგატებად არიან.

**საქართველოდან**—გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი.

**სომხეთიდან**—ს მამიკონიანი, ს. ტიგრანიანი, და ს. ს. არუთინიანი.

**ადერბეიჯანიდან**—მ. ჯაფაროვი, ფ. ხან-ხოილი და ხასმაბედოვი.

**მთიელთაგან**—კანტემიროვი, ფანზულაევი და ბუტაევი.

## ქრონიკა

◆ **კვირას, აპრილის 27-ს საღამოს** 6 საათზე, მთავარ კომიტეტის ბინაზე შეხდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის და დამფუძნებელ კრების ფრაქციის შეერთებული მორიგი კრება. დასწრება აუცილებელია.

◆ **ყაზახებთან დატყვევებულ ბოლშევიკების შესახებ.** გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებიდანა სჩანს, რომ თითქოს ყაზახების მოსაზღვრე რაზმის უფროსს პოლკ. წერეთელს კავკავიდან გამოქცეული ბოლშევიკები დაეჭიროს და ყაზახებისათვის გადაეცეს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს არავითარი ცნობები არ მოეპოვება. მინისტრის განკარგულებით პოლკოვნიკ წერეთელს ებრძანა დაწვრილებითი მოხსენება წარმოადგინოს ამ საქმის შესახებ ნამდვილად მოხდა თუ არა ასეთი რამ.

◆ **აბანოების იჯარით გაცემა.** პროექტი თბილისის გოგირდის აბანოების იჯარით გაცემის შესახებ, მიწათ-მოქმედების მინისტრმა უკვე დაამტკიცა. საიჯარ შეჯიბრება მაისში მოხდება. იჯარით გაცემის დროს უპირატესობა მიეცემათ წინანდელ მოიჯარადრეთ.

◆ **ინგლისელ ექიმის მკვლელის საქმე.** 20 აპრილს ღამეს მოკლულ ინგლისელ ექიმის მკვლელთაგან დააპატიმრეს ხუთი: ქლენტი, ცინცაძე, ბარამიძე მუხაშარია და ბერძენიშვილი ვერ იპოვეს მეექვსე დამნაშავე პაიჭაძე. მთავრობის განკარგულებით 24 აპრილს საგანგებო სასამართლოში სასწრაფოდ გაირჩა დაპატიმრებულთა საქმე. სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯათ ქლენტს, ბერძენიშვილს და ბარამიძეს, 20 წლის კატორღა ცინცაძეს; 15 წლის კატორღა მუხაშარიას. გასამართლების შემდეგ ტუსაღები მიიყვანეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში საიდანაც გაძლიერებულ დამცველ რაზმის თანხლებით ღამის 2 საათზე ტუსაღები წაიყვანეს ყოფილ სამხედრო სასწავლებელში დასამწყვდევად. როდესაც სამხედრო სასწავლებელს დაუახლოვდნენ, ქლენტი და ბერძენიშვილი სხვა და სხ. მხრივ გაიქცნენ. დამცველებმა სროლა აუტეხეს დანარჩენებს. მოჰკლეს ბარამიძე და ცინცაძე. უვნებლათ გადარჩა მუხაშარი რომელიც სროლის დროს მიწაზე გაწვა. სროლის დროს მძიმედ დაიჭრა სისხლის სამართლის მილიციონერი ყუფარაძე.

◆ **ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის გარშემო** 24 აპრილს საქართველოს კათალიკოსის თავმჯდომარეობით შესდგა სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც დაესწრნენ საეპარქიო და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლები და თბილისის მთელი სასულიერო წოდება. კრების საგანი იყო ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხი. კათალიკოსის მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა რის შემდეგაც შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: სასურველად იქმნეს ცნობილი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა და ამ გამოყოფის უმტკივნეულოდ ჩატარება მიენდოს საკათალიკოსო საბჭოს. მიეწეროს სამრევლო და საეპარქიო საბჭოებს მსჯელობა იქონიონ ამ საკითხის შესახებ და თავიანთა რეზოლიუციები წარმოუდგინონ საეპარქიო საბჭოს. სასურველად იქმნეს ცნობილი გამოიცეს სამღვდელოების საკუთარი ორგანო.

◆ **დანიშვნა.** სახალხო განათლების სამინისტრომ ქუთაისის ვაჟთა 2 გიმნაზიის დირექტორად ს. ხუნდაძე დანიშნა.

◆ **გამოსათხოვარი ბანკეტი.** ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ქუთაისის მილიციის უფროსად ნამყოფ სულაქველიძეს გამოსათხოვარი ბანკეტი გაუმართა.

### სხვა და სხვა ამბები

◆ **ქურდობა.** 24 აპრილს დღის 2 საათზე ს. სარქისიანის ბინიდან (მიხაილოვის ქ. № 130) ბოროტგამზრახველებმა მოიპარეს სხ. და სხ. ძვირფასი ნივთები—50,000 მან. ღირებული. ეჭვით დააპატიმრეს ზ. გუტტერ და ტ. გურკოვისა.

◆ **ქურდობა.** ნ. ხმალაძისამ მილიციაში განაცხადა რომ ამ დღეებში მისი ბინიდან ბოროტგამზრახველებმა მოიპარეს სხ. და სხ. ნივთები 5000 მ. ღირებული.

◆ **ბოროტ-მოქმედთა დაპატიმრება.** ამ დღეებში ს. ზავარიანის ბინაზე შეიჭრნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით წაართვეს ფულად და ძვირფასი ნივთები 10000 მან. მეექვსე უბნის კომისარის გამოძიებით გამოირკვა რომ თავდასხმაში მონაწილეობა მიუღიათ აკოფ რუსტალოვს, ლ. აბრამიძეს და მ. ოგანეზოვს. ხსენებული პირნი დააპატიმრეს, ისინი გამოტყდენ, მათი ბინების გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს დაკარგული ნივთები.

◆ **ჟურ. „კავკასიის ქალაქი“.** გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო ჟურ. „კავკასიის ქალაქი“ № 4 წელიწადი მეორე. შინაარსი: ქართულად: 1. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა. 2. გ. ნანეიშვილი დამოკიდებულობა ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთა შორის (გაგრძელება). 3. ი. ქურდიანი—როგორ უნდა მოეწყოს აგრონომიული დახმარება ერობებში (დასასრული). 4. ნ. რუხაძე—საერობო მედიცინის ორგანიზაცია. 5. ს. რობაქიძე—საშკოლო აღმშენებლობა (დასასრული. 6. ქრონიკა. რუსულად: 1. ვ. სოკოლოვი—ცენტრალური ერობის საკითხი. 2. ვ. იანოვიჩი—ერობის მცირე ერთეულის შემოღებისათვის. 3. ბ. უგაროვი—ცენტრალური ერობის მორიგი საკითხი. 4. ა. ესსენი—თეთრი ნახშირი. 5. დ. კორენევი—კოოპერატივის მდგომარეობა. 6. ი. ბრიტნევისა—საქ. რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მეორე მუნიციპალური ყრილობის შესახებ. 7 ქალაქთა მილიციის წარმომადგენლების ყრილობის რეზოლიუციები. 8. ქრონიკა.

### კრებები.

◆ **ქ. შ. წ.-კ. საზ-ბის რწმუნებულთა კრება.** კვირას 11 მაისს, დღის 12 საათზე, ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა მორიგი კრება. 1. საზ. მთავარი გამგეობის 1918 წ. მოქმედების ანგარიში. 2. გამგეობის მოხსენება აკაკი წერეთლის ნაანდერძევი უძრავი ქონების მიღების მიღების შესახებ. 3. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ.

◆ **აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლ. კავშირის გამგეობის კრება.** კვირას, 27 აპრილს, დილის 11 საათზე. წ.-კ. გ. ს. ბინაზე (სასახლის ქუჩა № 5) დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი კრება. განსახილველი საგანი: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობის დებულების განხილვა და სხვა მიმდინარე კითხვები.

◆ პარტიულ ახალგაზრდათა კრება რომელიც კვირას საღამოს 6 საათზე უნდა შემდგარიყო, შემდეგი კვირისათვის გადაიდო. ბ. რაფ. ინგილო მოხსენებას მომავალ კვირის კრებაზე წაიკითხავს.

—

## სამხატვრო ქრონიკა

შ. არაგვისპირელის იუბილეი მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა, რომ 19 მაისს, სახელმწიფო თეატრში ბელეტრისტ შიო არაგვისპირელს გაუმართოს იუბილე მისი სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო.

—

**მეოცნებე ნიამორები.**

ქუთაისში გამოვიდა „მეოცნებე ნიამორები“-ს მეორე ნომრის შინაარსი: გრიგოლ რობაქიძე დიდი შუა-დღე (პირველ ტერცეტის პირველ სტრიქონში შეცდომით არის დაბეჭდილი სიტყვა „ხვეტის“ უნდა იყოს „ხვატის“.)

პაოლო იაშვილი ავტოპორტრეტი; ტიციან ტაბიძე 2 აპრილი; გრ. ჯაფარიძე თეთრი კარავი; ლელი ჯაფარიძე მატარებლიდან, კოლაუ ნადირაძე ბალდახინი; ვ. გაფრინდაშვილი დაისი მესამე; ივ. ყიფიანი არიერაჟები; შალვა აფხაიძე რევამა; შალვა კარმელი მეფისქალნი ტრაურებში; ინ რე-ჟანნიამორები; ნიკოლოზ მაწიშვილი წმინდანიანი; ნ. ლ, მთვარიან ღამის ჩრდილში; სერგო კლდიაშვილი მთვრალ საუბარით; ვ. გაფრინდაშვილი სტეფან მალარმე ლადო გუდიაშვილი ყდა (ნიამორები).

**სტეფან მალარმეს წიგნი.** ქუთაისში დაიბეჭდა სტეფან მალარმეს წიგნი ვალერიან გაფრინდაშვილის ვ. ნადირაძის, ს. ცირეკიძის და შ, აფხაიძის თარგმანებით წიგნი დაბეჭდილია ალექსანდრიულ ქაღალდზე და ჰღირს 25 მანეთი.

## მუნიციპალური ცხოვრება

**დისციპ. სასჯელის უფლება.**

ქალაქის გამგეობამ მიანდო ქალაქის მოურავს თავისი უფლება იმ მოსამსახურეთა დისციპლინარული დასჯისა, რომელთაც გამგეობა ნიშნავს და ამტკიცებს თანამდებობაში.

**ბ. ბენია ჩხიკვიშვილის ბრძანება.**

ქალ. მოურავის ბენია ჩხიკვიშვილის განკარგულებისამებრ დიდ ხუთშაბათს დააპატიმრა მეორე უბნის მილიციის კომისარი სიხარულიძე. ამ დაპატიმრების შესახებ ქალაქის მოურავმა ბენია ჩხიკვიშვილმა გამოსცა ბრძანება № 1, რომელშიაც იგი სწერს: ვინაიდან თბილისში ნამეტნავად მის მეორე უბანში გავრცელდა თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა იძულებული ვარ მივიღო სასტიკი ზომები ამ ბოროტ-მოქმედების მოსასპობლად. მილიციის რეორგანიზაციამდე, ნამეტნავად სისხლის მილიციის და მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებამდე, იძულებული ვარ სასტიკად დავსაჯო მილიციონერები, განსაკუთრებით უფროსნი, სამსახურში გულცივობისათვის და მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში მათ უყურადღებობის გამო. ქალაქის მოურავის ბრძანება № 1, თხოულობს, რომ ბინადრული მილიციონერები დღე და ღამე იდგნენ თავიანთ დანიშნულ ალაგებზე. დღიურმა მორიგე უფროსმა მილიციონერებმა ყოველ ღამეს რამდენჯერმე უნდა შემოუაროს უბანს და დაზვეროს, რომ მილიციონერები თავიანთ ალაგებზე იდგნენ. ყველა მომხდარ დიდ ამბებზე, როგორც თავდასხმის, მოკვლის, გაძარცვის და სხვა, მილიციის უფროსის გარდა ტელე-

ფონოგრამით მაშინვე უნდა ქალაქის მოურავსაც აცნობონ. რადგანაც მეორე უბანში თავდასხმამ და ძარცვაგლეჯამ მასიური ხასიათი მიიღო და მილიციონერები დღისითაც კი არ დგანან თავიანთ ადგილებზე, რის მაგალითადაც ბრძანებაში მოყვანილია, მოქალაქე მდივანის ბინაზე 15 აპრილს ნაშუადღევის 1 საათზე შეიარაღებულ ბოროტ-მოქმედების თავდასხმა ქავჭავაძის და სასამართლოს ქუჩების კუთხეში,—ბ-ნი ბენია ჩხიკვიშვილი სამსახურიდან ითხოვს მე-2 უბნის კომისარს სიხარულიძეს და მე-69 მუხლის და და მის შენიშვნის ძალით (სისხ. სამ. დებ.) აპატიმრებს შვიდი დღის ვადით და ამავე დროს შინაგან-საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, რომ ეს ვადა დაპატიმრებისა გაგრძელდეს ადმინისტრატიული წესით სამ თვემდე. მილიციონერი, რომელიც თავის ბინაზე არ იყო ამ შემთხვევაში ამავე რიგით დაპატიმრებულია, დათხოვნილია სამსახურიდან და მიცემული სისხლის სასამართლოში. ქალაქის მოურავი წინადადებას აძლევს მილიციის უფროს ამ ბრძანების სავსებით ასრულების შესახებ.

**ფუნიკულიორის განახლების საკითხი.**

თბილისის ფუნიკულიორის ბელგიელთა უსახელო სააქციონერო საზოგადოების გამგეობა შუამდგომლობს ქალაქის თვითმართველობის წინაშე ფუნიკულიორით მამა-დავითის მთაზე ასვლა-ჩამოსვლის ფასის შესახებ. დასახელებულ საზოგადოების გამგეობა სწერს, რომ ტარიფის გაუდიდებლათ ფუნიკულერის მიმოსვლის განახლება შეუძლებელიაო.

**წყალსადენის დათვალიერება.**

გუშინ, 24 აპრილს, დილით ავჭალაში წავიდნენ ქალაქის გამგეობის წევრი ი. ზესელიძე, ქალაქის სამედიკო-სასანიტარო ინსპექტორი შ, მიქელაძე და ქალაქის წყალსადენის ინჟენერი ლ. დიასამიძე ავჭალის წყალ-სადენის სადგურისა და მის მიდამოების დასათვალიერებლად და სათანადო ზომების მისაღებად, რადგანაც გაზაფხულიდან შესაძლოა თბილისში ხოლერის შემოტანა და გავრცელება.

**საბჭოს კრების გადადება.**

ქალაქის საბჭოს კრება ხუთშაბათიდან გადაიდო ორშაბათს, 28 აპრილამდე, რადგანაც საბჭოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ ვერ მოასწრო განხილვა ქალაქის გამგეობის მოხსენება თბილისის ყველა მცხოვრებლებზე სასანიტარო და საეპედიმიო გადასახადის შემოღების შესახებ.

## სასოფლო მეურნეობა

**საფუთო გადასახადი.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ნაწილმა მოისმინა შუამდგომლობა სამტრედიის ქალაქის გამგეობისა საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ ხილეულობასა და მწვანილეულობაზე. სამეურნეო ნაწილმა დაადგინა, განზრახული გადასახადი დღევანდელ პირობებში, როცა მებოსტნეობის ნაწარმოების აუარებელი მოთხოვნილებაა და მათ სიმცირის გამო, შემოიღონ, ვინაიიდგან დიდ გავლენას არ იქონიებს სასოფლო მეურნეობაზე. ეს საფუთო გადასახადი დაწესდეს იმ პირობით, რომ გადასახადი აღებულ იქმნას რკინის გზაზე ამ ნაწარმოებთა დატვირთვის დროს.

**აგარაკის გადაცემა.**

დღეს კოჯორში მიდის მიწათ-მოქმედების სამინისტროს კომისია ყოფილ სამხედრო ოლქის შტაბის, ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტის და სამხედრო ფერშლის სკოლის სააგარაკო შენობის მოიჯარადრე ბ-ნ შანშიაშვილზე გადასაცემათ.

**აბანოების იჯარით გაცემა.**

ვინაიიდგან ქალაქის თვითმართველობამ არ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მას გადაეცეს ტფილისის გოგირდის აბანოები მიწათ-მოქმედების სამიმისტრომ 14-ვე გოგირდის აბანოებზე დანიშნა საჯარო ვაჭრობა იჯარით მისაცემათ. საჯარო ვაჭრობა შესდგება 30 აპრილს.

**გორის სასულიერო სასწავლებლის გადაკეთება სამეურნეო სკოლად.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო ნაწილმა თავის უკანასკნელ კრებაზე მოისმინა შუამდგომლობა ქ. გორის მცხოვრებთა გორის სასულიერო სასწავლებლის საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლათ გადაკეთების შესახებ. სამეურნეო ნაწილმა არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა იმ მოსაზრებით რომ 1) ამ პუნქტში ხელსაყრელი სამეურნეო პირობანი არაა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ორგანიზაციისთვის და 2) იმის გამო, რომ პირველ რიგში, თანხმათ სამეურნეო ნაწილის დადგენილებისა უკვე დამტკიცებულ მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს მიერ, წამოყენებულია საკითხი ტფ. საშუალო საკულტურო-ტეხნიკურ სასწავლებლის გადაკეთებათა საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებლათ მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან.

## საქარ. წითელ ჯვრის საზ. ბავშვთა თავშესაფარში

ამ მძიმე დროს იშვიათია ისეთი კულტურული დღესასწაული, სადაც კაცს შეეძლოს სულიერად დაისვენოს. ამასწინად შემთხვევა მქონდა ასეთ დღესასწაულს დავსწრებოდი. მთაწმინდის აღმართზე ერთ დიდ შენობაში წითელი ჯვრის ქალთა კომიტეტს მოუწყვია მესხეთ-ჯავახეთის ომის უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთათვის თავშესაფარი. აქ თავი მოუყრია ასთექვსმეტ ბავშვს სამი წლიდან თექვსმეტ წლამდე. მთელ დაწესებულებას ატყვია საოცარი თავდადებული მუშაობა ხელმძღვანელებისა. როგორც ქალთა კომიტეტს, ისე თავშესაფარის გამგეს ქ-ნ თამარ სუმბათაშვილისას, მის თანაშემწეს მოწყალების დას ნინო პარმაქსიზოვისას და მათ თანამშრომლებს ჩინებულად დაუყენებიათ საქმე. სისუფთავე ირგვლივ, მოვლა და დედობრივი დაყვავება ბავშვებს აქ ისეთ სულიერ განწყობილებას ქმნის, რომ ავიწყებინებს მათ ოჯახის დაკარგვას. გუშინ დავესწარით საღამოს. ბევრი მინახავს ბავშთა საღამო, მაგრამ ასეთი ბუნებრივი, მართლა საბავშვო საღამოს მნახველი არა ვარ, სადაც საოცარი ბუნებრივობით პატარა ბავშვები მათთვის შესაფერ სცენებს თამაშობდნენ. მეტად კმაყოფილი სტუმრები მთელი ქართველობის სახელით დიდი მადლობით გამოემშვიდობენ თავშესაფარის ხელმძღვანელთ.

პ. ხ—ძე.

## სომხეთში

**კარჩიკიანის მკვლელის საქმე**

სომხეთის მინისტრის სარ. კარჩიკიანის მკვლელის საქმე აპრილის 15 გაირჩა. სასამართლოს დადგენილება ჯერ არ გამოუქვეყნებია.

**სომეხ თათართა შეტაკება**

ერევანის გაზ. „ჟოღოვორდი" იუწყება:

სოფ. ენგიჯის მცხოვრებ ვარდან აკოფიანმა სოფ. გორბადიგში ერთ მაჰმადიანს ცხვრები მიაბარა.

მაჰმადიანმა ცხვრები დროზე აღარ დაუბრუნა, რამაც ორ სოფელს შუა ჩხუბი გამოიწვია. ამ სოფელს მიეშხრენ თავთავისი მოსამზღვრე სოფლები და პატარა ჩხუბი მთელ ბრძოლად გადაიქცა.

სომხებმა აჯობეს და მაჰმადიანებს თავისი სოფელი მიატოვებინეს.

**ლტოლვილთა დაბრუნება ყარსში**

ქ. ყარსში და მის მიდამოებში ლტოლვილთა დაბრუნება დაიწყო აპრილის 21-იდან.

ადგილობრივი მუსულმანები დაბრუნებულ სომხებს მეგობრულად ეპყრობიან.

**სომეხთა მოღვაწეობა ყარაბაღში**

„აშხატავორის" ცნობით, სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგს აშოთ მელიქ-ოსეფიანცს, ყარაბაღის მთავრობის თავმჯდომარეს ეგიშე იშხანიანს და ეროვნულ საბჭოს წევრს ჰრანტ ბაგრატურიანცს ინგლისის სარდლობამ ქ. შუშიდან გასვლის წინადადებით მიჰმართა.

ამბობენ რომ გადაუწყვეტიათ ეს საზოგადო მოღვაწენი ყარაბაღიდან „თავაზიანად" გააძეონ, რადგან ისინი აჯანყებენ სომხის მოსახლეობას აზერბაიჯანის წინაამდეგ. ამბობენ აგრეთვე რომ ისინი ხელს შეუშლიდნენ ყარაბაღის მთიან ადგილების მცხოვრებთა ყრილობის მუშაობას რომელიც აპრილის 23 უნდა დაწყებულიყო და რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სურს თუ, არა ხალხს აზერბეიჯანთან შეერთება.

**გენ. ნაზარბეგოვი**

გენ. ნაზარბეგოვი სომხეთის ჯარების მთავარ სარდლად დანიშნეს მის თანაშემწედ გუმბრში გენ. სილიკოვია, ხოლო სურმალუში გენ. ჰდრო. ეს ორი თანაშემწე იმავ დროს მინისტრის ამხანაგებად ითვლებიან.

## აზერბაიჯანი

**ბოლშევიკები ბაქოში.**

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ერთი ხანია რაც ბაქოში პროფესიონალ კავშირების კონფერენცია დაიწყო. მათ კონფეთენცია როგორც გვატყობინებენ დასრულებულა მარსელიოზის და ინტერნაციონალის სიმღერით. კრების დახურვის წინ 15 კაციდან შემდგარი ხელმძღვანელი კომისია ამოირჩიეს რომელსაც ამიერკავკასიის უფრო ფართო ორგანიზაციის მოწყობა დაევალათ. მიიღეს კომუნისტების რამდენიმე წინადადება, სხვათა შორის ისეთის, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში შესასვლელად საჭიროა მთელი ამიერ-კავკასიის, დაღესტნის და კასპის იმიერ მდებარე ოლქების გაერთიანება.

**ინგლისელთა და ბაქოს თვითმართველობის კონფლიქტი.**

ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბაქოს ბანკმა ბაქოს ქალაქის თავს შეატყობინა რომ მას პრეტენზიები აქვს 56.430 გირვანქა სტერლინგზე ნაცვლად თვითმართველობის მიერ ჯაგერის საამხანაგოს ქონების გაფლანგვისა და განადგურებისა. ამ პრეტენზიაზე ქალაქის თავმა გენ. ჰოფს წერილი გაუგზავნა რაშიაც სწერდა სასამართლოს საქმეზე დაყრდნობა სრულიად არ გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ ვითომც ეს პრეტეენზიები სამართლიანი იყოს. ქალაქის თვითმართველობას არავისთვის არავითარი ქონება არ გაუფლანგავს ამისათვის არავითარ პრეტენზიებსაც არ დააკმაყოფილებს.

**ბრიტანეთის ებრაელი ჯარისკაცები.**

სახალხო რაბინმა ბერგმერმა ებრაელთა პასექის წინა დღით ინგლისელთა მისიას ბაქოში სთხოვა რომ ებრაელ ჯარისკაცები თავის სარწმუნოებრივ ტრადიციების ასასრულებლად განეთავისუფლებინათ სამსახურიდან რამდენიმე დღით. ინგლისელებმა ნება დართეს და ებრაელები 8 დღით განათავისუფლეს. საღამოს ებრაელებმა ერთ მორწმუნე პოლკოვნიკის ხელმძღვანოებით სინაგოგაში ილოცეს. ჯარისკაცებს ამ რვა დღის განმავლობაში სულ ებრაულ საპასექო ტრაპეზით ჰკვებავდნენ.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**26 აპრილი.**

### ფრანგული პრესა

**გერმანეთის დელეგაცია**

პარიზიდან იუწყებიან, რომ გერმანიის დელეგატებს მოელიან აპრილის 28. მათ ექნებათ სათანადო რწმუნებანი. დელეგაციაში სხვათა შორის შედიან საგარეო საქმეთა მინისტრი ბროკდორფრანცაუ, იუსტიციის მინისტრი ლანდსბერგი, ფოსტის მინისტრი გისბერგი და პრუსიის ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარე ლეიპერტი.

### ინგლისური პრესა

**უმუშევართა მიტინგები ბუდაპეშტში**

ბუდაპეშტში კვირას ბელაკუნის თანადასწრებით გაიმართა უმუშევართა მრავალ რიცხოვანი მიტინგები. სწარმოებს ყველა სასამართლოების რეორგანიზაცია: იქნება სასოფლო, საქალაქო და საოლქო სასამართლოები და აგრეთვე რევოლუციონური ტრიბუნალი პოლიტიკურ საქმეების გასარჩევად, დანარჩენი სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეებს გაარჩევენ; თვითეული მათგანი 3 მუშისაგან უნდა შესდგებოდეს.

**ბულგარული გაზეთი**

ჰუნგრეთის სოციალისტურ პარტიის ბულგარელთა ფრაქციამ საკუთარი გაზეთის გამოცემა დაიწყო.

**გ ა ფ ი ც ვ ა**

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით სამხედრო წესები გამოცხადდა. (გაუგებარია). დამატებითი ცნობების თანახმად სამოქალაქო ადმინისტრაცია და მოხელეები განაგრძობენ თავის მოვალეობის ასრულებას, ამას წინათ კი იუწყებოდენ რომ მოხელეებმა მუშაობა სრულიად შესწყვიტესო. არსებულ პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის და დიდი ბრიტანიის პროტექტორატის უარყოფის ნიშნათ მოხელეებმა მუშაობა არ განაახლეს, რაზიდ ფაშამ გამოაცხადა, ყველა ის მოხელენი, რომელნიც სამსახურს არ შეუდგებიან ომის დროს კანონის ძალით დაისჯებიან და ყველა ის, ვინც ხელს შეუწყობს მოძრაობას, ან მუქარი და ძალით ნებას არ აძლევს მოხელეებს მუშაობა განაახლონ, სასტიკათ დაისჯებიან, რადგან ყველა მოხელენი, რომელთაც ნებადაურთველათ შესწყვიტეს მუშაობა, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდენ თავის საქმეს. ის მოხელენი, რომელნიც ამ განცხადების გამოქვეყნების მეორე დღეს არ დაბრუნდებიან, სამსახურიდან გასულათ ჩაითვლებიან.

### ბოლშევიკური ცნობები

**სამხედრო ცნობა.** ოლონეცის მიმართულებით მოწინააღმდეგემ მეჩრეცკაია დაიჭირა. მარიენბურგის მიმართულებით მოწინააღმდეგემ [illegible] ჯარი შეავიწროვა. სა[illegible] ჩრდილო-დასავლეთით ლატიშთა წითელმა ჯარმა ერთი სოფელი დაიჭირა, მიტავის რაიონში, მიტავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შეტევა დაიწყო და ლატიშთა წითელი ჯარი შეავიწროვა. ვილნოს რაიონში ბელორუს-ლატიშელთა წითელმა ჯარმა ვილნოს ჩრდილოეთით 30 ვერსზე და აღმოსავლეთით 25 ვერს. პოზიციები დაიჭირა. ლიდის მიმართულებით წითელმა ჯარმა სადგურ ლისტდი (?) იუზოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სადგური ოლაჩენკოვი, იუზევე და ავდეევკა. სადგურ დრინდოლევკას სამხრეთით ჩვენ სოფელი ნოვო-პავლოვკა დავიჭირეთ და ხელთ ვიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალის რკინის გზასთან ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ბიზჩენის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბრძოლით უკან იხევს. ბუგურუსლანის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ელაბუგის აღმოსავლეთით ბრძოლაა.

**პეტერბურგი.** აპრ. 24. პეტერბურგის სასურსათო კომიტეტი 600 გამოცდილ პარტიულ მუშაკს გზავნის პურის დასამზადეთლათ უკრაინაში თავრიდის გუბერნიაში და დონზე. 17 აპრილს გაიხსნა გემით მიმოსვლა კრონშტატსა და ორანიენბაუმის შუა წყლის ტრანსპორტის მუშების შეერთებულ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება დაარსონ სანაპირო და მოძრავი სამკითხველოები გემებზე მუშებისათვის. **სამარა** აპრ. 23. ცნობა მოვიდა რომ ორენბურგის მიმართულებით მომხდარ უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ ჩვენ წამოვიყვანეთ 170 შეიარაღებული კაცი, 3 ტყვიისმფრქვეველით. ბუგურუსლანის რაიონში გახშირდა ჩვენს მხარეზე სახალხო არმიელთა გადმოსვლა. **ნოვგოროდი** აპრ. 23. ნოვგოროდის საგუბერნიო კომიტეტი რ. კ. პარტიულ საბჭოს და გუბერნიის პროფესიანალურ კავშირების შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს მოახდინონ მუშების ცხრა პროც. მობილიზაცია აღმოსავლეთ ფრონტის დასაცავათ. იხსნება პროლეტართა საგუბერნიო პირველი მუსიკალური სკოლა. **რიგა.** აპრ. 23. შინაგან საქმეთა კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა უცხოელთ: რომელნიც რიგასა და მის მიდამოებში ცხოვრობენ ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ. ვინც არ გამოცხადდება დაპატიმრებენ და რევოლუციონურ ტრიბუნას გადაეცემა. იაკობშტატის განათლების განყოფილებამ გახსნა საღამოს კურსები. პროგრამა: პოლიტიკური ეკონომია, კლასთა ბრძოლის ისტორია.

მრეწველობის კომისარიატის ტეხნიკურმა სექციამ შმიდტის ცემენტის ქარხანა, რომელიც დღეში 550 ფუთს ცემენტს იმუშავებს თავის მართველობის ქვეშ აიღო. ლიტვის რესპუბლიკის რკინის გზის სამმართველომ გახსნა რკინის გზის კურსები.

**პოლტავა.** აპრ. 23. გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიიღოს სწრაფი ზომები წითელ ჯარის ოჯახების თესლეულობით უზრუნველსაყოფად.

**იზიუმი.** აპრ. 18. ლეტკის რაიონში ჩვენ დაგვნებდა რუსთა ლეგიონის ბატალიონი, რომელიც საფრანგეთში მოქმედებდა. ლეგიონი 1000 კაცამდე მოტყუილებით ოსმალეთში გაატარეს და ნოვო-ჩერკასკში მოიყვანეს, ნაწილი გაგზავნეს პოზიციაზე, ეს ნაწილი პირველ ბრძოლაშივე დაგვნებდა.

**სიმფეროპოლი.** აპრ. 23. მოკავშირეებმა სევასტოპოლის ევაკუაცია დაიწყეს. დაარსდა სევასტოპოლის რევოლიუციონური კომიტეტი. მოხდა ფლოტის ნაციონალიზაცია. არსდება რევოლიუციონური რაზმები. მზადდება საბჭოს არჩევნაბი. რევოლიუციონური კომიტეტის მოთხოვნით საფრანგეთის სარდლობამ ორი სასტუმრო დასცალა. შესდგა კომისია რომელიც გამოარკვევს საბერძნეთის ჯარის მიერ მცხოვრებთათვის მიყენებულ ზარალს.

**ნაუენი.** აპრ. 23. ვიუტემბერგში და ბადენში გაფიცვების გამო ნახშირის სიმცირეა და სწრაფი მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ამავე მიზეზით შესწყდა მიმოსვლა რეინის მარჯვენა მხარეზე.

**სამარა.** აპრ. 23. კომუნისტ მაჰმადიანთა გუბერნიის ორგანიზაცია მთელ თავის ძალებს კოლჩაკთან ბრძოლაში აბმარს.

**კოსტრომა.** აპრ. 24. ვოლგაზე ყინული გადნა. მოელიან გემების მიმოსვლის განახლებას. სასურსათო ფლოტი წასასვლელად მომზადებულია.

**ყაზახების გამარჯვება**

**თბილისი.** აპრილის 24. ინგლისის მისიამ გადასცა სააგენტოს გამოსაქვეყნებლად შემდეგი ოფიციალური ცნო-

## ჩვენი დროის კომუნისტი

(მოთხრობა).

ასე ულმერთოთ ააფორიაქეს თამარას გული. ხოლო, დემონი მისი სიყვარულისა ამ დროს უკვე იჯდა რესტორან „სულის კლიტე"-ში და მეგობრებთან ერთად სადილს შეექცეოდა. სუფრას ქართული გულუხვობა ემჩნეოდა. ყველაფერი ჭარბათ იყო: მწვანილი, თევზეულობა, ღორის კუპატები, ინდაურის კურტუმო ბროწეულის წვენში, მოხრაკული წიწილები და კახური ღვინო. პირველ ორ ლუკმას სადღეგრძელოები მოყვა. ჯერ ადღეგრძელეს „ის მუხა, რომელიც ამოსულიყოს უდაბნოში ტბის ნაპირას, გამოისხას ყლორტები, გაეშალოს ფოთლები და ჩრდილი გაეკეთებინოს, მისულიყოს ამ ჩრდილ-ქვეშ ორი საყვარელი ამხანაგი და პური ეჭამოს". ამას მოაყოლეს „ის ამხანაგი, რომელსაც კაი ძმა-კაცი ცოლსაც ურჩევნია და შვილსაც". შემდეგ გამარჯვება უსურვეს ჯარს, ჯარს მოყვა „ის კოკობი ვარდი, რომელიც"... კოკობ ვარდს „ისინი, რომლებიც ძველ რეჟიმშიაც დევნილი იყვნენ და ახალშიაც"...

ამ დროს, რესტორანში არაყის გადასაკრავათ შემოვიდა წერილებით ილლიაში რუსი ფოსტალიონი. მან თვალი მოკრა გაიოზ წურწუმელიას, იცნო და წერილი გადასცა. მიმღებმა იქვე გახსნა ლურჯი კონვერტი და ჩუმათ, გულდასმით კითხვა დაიწყო. ეს იყო მისი ცოლის წერილი სამეგრელოდან.

სწერდა:

„ძვირათ ძვირფასო, ჟამს დაუვიწყარო, მარადის მოსაგონარო ჩემო გაიოზ. ჩემო ბატონო. პირველათ ყოვლისა უფალ ღმერთს ვთხოვ თქვენს კარუგათ ყოფნას. სხვა მეტი რაღა მოგწერო. კვტარი ვარ, გაიოზ, კუთხე მეზობლებში თავი ვერ გამომიყვია. ტანზე არ მაცვია და ფეხზე. სხვა სალუდათების ცოლებს რომ ვუყურებ ჯაბრით ცეცხლი მეკიდება. ყველა პასლედნი მოდაზეა გამოპრანჭული. მიატუე მაგ ოხერი სამსახური, შენს სახეს შემოვებლე, მიატუე. ჩვენი სოფლის ბიჭებმა ყველამ თავი გაანება სალუდათობას. ჩამევიდენ თოფებით, ჩამეიტანეს ფული ოხრათ. ნანაია, ნანაია რა პალატკები ჩამოათრიეს, რა ჩექმები, რა ტანისამოსი, რა ბილიო. კორფილე ბალათურიამ ატაჟიანი სახლი წამეიწყო, შევასტიამ ცოლი ითხუა. ყველა ამას იძახის: გაიოზი ჩეიხჩვა სამსახურშიო. რატომ არ ჩამოდი ერთი მაინც. შეგძულდი? თუ ასეა, მითხარი ბარემ და იცოდე საცოდეებას გაჩვენებ: თავს ჩამევიხრჩობ ჭიშკართან რომ ნიგოზია იმის შტოზე.

მოგიკითხა ბაბამ. აგრეთვე მოგიკითხა ნანამ ნახვის ნატვრით და პირზე კოცნით. კიდო მოგიკითხა, შენ რომ აბრეშუმის კაბას დაპირებიხარ, იმან. ამ წერილს გწერს შენზუგან მოძულებული და შენთვის დამუწვარი.

პელანგო".

დიდხან სდუმდა ფიქრად წასული გაიოზი. ბევრი რამ მოაგონა მას საყვარელი ადამიანის ხელით მოქარგულმა პატარა წერილმა: ოხრათ მიტოვებული კარ-მიდამო, მოხუცი დედ-მამა, მეზობელ-ნათესავები და მისი ახალგაზრდა, მისი თვალ-ლურჯა „პელანგო", რომელსაც იქნებ უკანასკნელი პერანგიც კი შემოეხა ჭყინტი ყვავილივით თეთრ ტანზე. ერთი საათის წინეთ სრულიად უდარდელი, ახლა უეცრათ დადარდიანდა გაიოზი და ვინ იცის, თუ რამდენმა უხეირო აზრებმა დაიბუდეს ღვინით გახურებულ მის თავში.

* * *

— არ გვინდა! არ გვინდა!

— ჩვენ გაყიდულები ვართ!

— ძირს, მოღალატე, ძირს! ძირს!

დაიგრიალა ორი ათასამდე ჯარისკაცმა და წამით სიჩუმე ჩამოვარდა. დაჩუმდა ტრიბუნაზე მოლაპარაკეც, თითქო სათქმელი აღარაფერი დარჩენოდა. ხალხის საიმედო, ჰაღარა წინამძღოლი სიტყვა-გამშრალი დაცქეროდა უმიზეზოდ გაბოროტებულ ჯარისკაცებს. მისი მომხიბლავი ხმა, მისი ჯადოსნური აღმაფრენა მიზანსწვერ აღწევდა.

— გათავდა! ყველაფერი გათავდა! თათრები ბათომისაკენ მოდიან, ესენი კი შინაურ აწიოკებას ამზადებენ. რა უნდათ ნეტავი? ეგებ სურვილი ვერ გაუუგეთ? მაგრამ სახალხო ქონებას რად სძარცვავენ? თოფებს რად ჰყიდიან?

ასე ფიქრობდა სასოწარკვეთილი ხალხი. ყაზარმის ეზოში, ჯართან ერთად, თავი მოეყარა მთელ ქალაქს ქალიან-კაციანა. ეს იყო ლამაზი ოცნება! მონობის უღლიდან განთავისუფლებული ხალხი სასიყვარულო სიტყვებით მისულიყო თავის შეიარაღებულ შვილებთან და სასწაულის მოხდენას აპირებდა. მათი რწმენით საკმაო იყო მხოლოდ გულის განდობა, ფარულ ზრახვათა წრფელი აღსარება და მრავალ წლობის კარჩაკეტილობით დასნეულებული ჯარი სრულიად განიკურნებოდა იმ ძველთა ძველი სენისაგან, რომელსაც ხალხის სიძულვილი ჰქვიან.

— ძმებო!—გაისმა ისევ ზარიანი ხმა. თავისუფალ ჩვენს ქვეყანას მტერი გარშემოსევია. ჩრდილოეთიდან ბორკილები მოაქვთ, სამხრეთიდან მონის უღელი. დაგვეხმარეთ! აჩვენეთ გმირობა სამშობლო მხარეს!

ამ სიტყვებზე ხალხს ჟრუანტელმა დაუარა. აქა იქ კიდეც აცრემლდენ და... სწორედ ამავე დროს ერთმა რუხ ფარაჯიანმა დაკლულ ხარივით გააბა:

— გვეყოფა ამდენი ომი!

— ძირს ვილაცა ხარ! ძირს!

— ძირს!—აღრიალდა ჯარიც და ყველაფერი აირია. ისმოდა სტვენა, ლანძღვა გინება, მუქარის ხმა. ამუშავდნენ მუჯლუგუნები. მეტი დაყოვნება სახიფათო იყო და კრებაც დაიშალა. ყველამ სახლებს მიაშურა.

შებინდებისას ისევ ჩაკეტეს კარები, ისევ ჩააქრეს სანათურები, მაგრამ ის ჩუმი ღამე, მამლების უდროო ყივილით არა დროს არ ყოფილა ასეთი შფოთიანი. წყეული ჭოტიც ხომ გულსაკლავათ ჩამოკიოდა საყდრის სამრეკლოდან...

...ეჰე! მგონი დაიწყეს. ყაზარმების მხრიდან თოფის ხმა მოდის. გესმით? დავიღუპეთ! დავიღუპეთ!

მოთქვამდენ შუა ღამისას ოთახში გამომწყვდეულები.

— ვინაა პატრონი? ჩუ! ეს ტყვიის მფრქვეველი უნდა იყოს.

ქალებო და ბავშვებო, თქვენ რისი გეშინიათ. გადით სახლის თავანზე... კიბე, ჩქარა კიბე!

ფუსფუსებდენ ოთახებში. კარებს ურდულებს უყრიდენ, იმალებოდენ, იმარხებოდენ. ფინია ძაღლების საცოდავი წკავ-წკავი, სულს აშფოთებდა.

და ამ დროს შარშებათ გაშლილი ჯარი გაიოზ წურწუმელიას მეთაურობით ქალაქს მოდებოდა. იმტვრეოდენ დუქნები, იმსხვრეოდენ სარდაფების კარები. დარაბების რახ-რახი, მინების წკრიალი და რკინათა ჩხარუნი ჯოჯოხეთურ ხმათ იქცნენ.

— აბა, ბიჭებო, ჭკუიანათ! ჭკუიანათ!—იძახდა მესაათის დუქნიდან გამოსული წურწუმელია; ერთმანეთს კი ნუ ეჩხუბებით. სირცხვილია. ყველას გეყოფათ.

— ბიჭოო! ე რა ჰქონიათ! ე რა სიმდიდრე ჰქონიათ!

ყვიროდა ერთი აღტაცებაში მოსული. მას ცალ ხელში ორი წყვილი ახლად შეკერილი ჩექმა ეჭირა, მეორეში—შემ ვარი გოჭის ფეხი და მადიანათ ილუკმებოდა.

— დავოლნო ბრაცი! იდი კაზარმუ!

დაიძახა ძვირფას თვალ-ბეჭდებით ჯიბე გავსილმა გაიოზმა, მაგრამ მის ბრძანებას აღარავინ ემორჩილებოდა...

— ღმერთო! განწირულთა მფარველო და სასოებაო!—ჩურჩულებდენ სახლების თავანზე დამალული ქალები: შენ შეიბრალე ჩვენი უდანაშაულო ოჯახი, გვიხსენი ქმარ-შვილი, გვაშორე ნამუსის ახდას!..

იქ, სადღაც, წყვდიადში, ყავარ ქვეშ მიკრუნჩხული ახალგაზდა დედა ხმა მილევით ტუქსავდა თავის 14 წლის ლიზიკოს:

— გაჩუმდი გოგო! ფრთხილად შე უბედურო!.. კიდევ! დაგწყევლოს ქრისტემ! რად აცემინებ მაგ სამიწე ცხვირს, გოგო? ძუძუები დაგსიებია და ჭკუა კი... რომ გაგიგონ, სად მიწაში ჩაძვრები.

— რა ვქნა დედიკო, მცივა, მციიივა...

* * *

გათენება იწყო. ღამის ბინდ-ბუნდში თანდათან ირკვევიან ჩუმი სახლები და ცალიერი ქუჩები. გამოჩნდა საყდრის გუმბათი და ძველი კოშკის ნანგრევები. ცა ავარდისფერდა. დაიძრა ნამიანი დილის ნიავი და ლამე ნათევ ქალაქს მოესმა შორეული სიმღერა. მხიარული გუგუნი ნელინელ ახლოვდება. აი, კიდეც დაინახეს უცნაური ჯარი. მოხუცსა და ახალგაზდას, ყველას იარაღი აუსხამს, ყველა ჯარისკაცობს. მხიარული, მოღიმარის სახით მწობრად მოირხევიან ისინი განიერ ქუჩის ქვაფენილზე, თითქო ქორწილში მიდიოდენ. მოვიდნენ, მოიტანეს სიყვარული, სიხალისე და აღფრთოვანება.

გათავდა აყალ-მაყალი, იმ ღამის გმირებს იარაღი მალე აჰყარეს, მაგრამ გაიოზ წურწუმელიას კვალს კი ვერავინ მიაგნო.

იგ. ი—ანი.

ბა: დონის ფრონტი: 15 აპრილი. ჩერ-ნის ჩრდილოეთით დონის ყაზახებს მოუხდათ შეტაკება ბოლშევიკების ლაშქართან. ბრძოლა ყაზახების სასარგებლოდ დამთავრდა. მათ წამოიყვანეს მრავალი ტყვე და ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. ძლიერი ბრძოლა სწარმოებს პერტოპავლოვსკის ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ინგლისური ჯარის ზრდა.**

ბრიტანეთის ჯარმა სერ დუგლასხეგის სიტყვით დიდათ იმატა.

1914 წ. ყოველ 500 კაცზე მოდიოდა 1 ტყვიის-მფრქვეველი, 1918 წ. 1 ტყვიის-მფრქვეველი 20 კაცზე მოდის.

ომის დაწყებისას ბრიტანეთს 486 ზარბაზანი ჰქონდა, ხოლო საზავო მოლაპარაკებისას 6437 ზარბაზანი ჰქონია... 1917 წლის ენკენისთვის 20 და 21 ბრიტანეთის არტილერიამ 2 მილიონ-ნახევარი ფუთი ყუმბარა ესროლა მტერს, ხოლო 1918 წ. სამ-გადამ წყვეტ დღეს, ენკენისთვის 27-28-29-ს, გასროლილი ყუმბარების საერთო სიმძიმე 4 მილიონ ფუთს უდრიდა. 1918 წლის შემოტევის დროს რუსეთის ასპარეზიდან მოხსნილი არტილერიის დახმარებით გერმანელებმა მოკავშირეებს აჯობეს, მაგრამ რაწამს ინგლისის არტილერიას ახალი ძალები შეემატა, გამარჯვებაც მის მხარეს გადიხარა.

სერ დუგლას ხეგი ამბობს, რომ ისტორიკოსის თვალთსაზრისით თუ გავზომავთ, ყველაზე აღსანიშნავ მოვლენად ამ ომში ბრიტანეთის ახალი ლაშქრის შექმნა იყო. ბრიტანეთის სახელმწიფოსთვის საგანგებოდ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ცოტა ხანში ისეთი დიდი მილიტარული ძალა შექმნა, რომ დაამარცხა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. საერთო რიცხვი გერმანელ ტყვეთა 327,000 აღწევს.

## ბოლშევიკური ცნობები

**შენკურსკი.** აპრ. 23. მდ. ვიგა ყინულისაგან იწმინდება. წითელი ჯარები თეთრ გვარდიელებს უკან ახევინებენ.

**პეტროგრადი.** აპრ. 23. მოწონებულ იქნა ელაგინის და სხვა კუნძულების საბუნებისმეტყველო და საგეოგრაფიო უზარმაზარ მუზეუმად გადაქცევის გეგმა. მუზეუმი გაყოფილი იქნება ორ, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ ნაწილათ. კრესტოვის კუნძულზე იქნება დიდი ზოოლოგიური მუზეუმი, ჰამბურგის ზოოლოგიურ მუზეუმის მაგვარი.

**ნოვგოროდი.** აპრ. 23. გუშინ ნოვგოროდმა იდღესასწაულა საყოველთაო სამხედრო წრთვნის შემოღების წლისთავი.

**№-ის არმიის შტაბი.** აპრ. 22. იმ გარემოებამ რომ ვოლგის მხარეს საფრთხე მოელის, მაჰმადიან მცხოვრებთა შორის რევოლუციონური განწყობილება შექმნა. ალაფუზის ქარხნის მაჰმადიანმა მუშებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან იბრძოლონ რუსეთის და საერთაშორისო კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ და მოითხოვენ მკაცრი ზომები მიიღონ დეზერტირების წინააღმდეგ და დაუნდობელი ბრძოლა აწარმოვონ შინაგანი სახელმწიფოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

მაჰმადიანები მოუწოდებენ რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს, რათა სწრაფათ დაეხმარონ წითელ ყაზანის და წითელ ვოლგის მხარის დაცვას. კოლჩაკის მონარქისტულ ბანდისტებისაგან. ოსმალეთში მომხდარ რევოლუციის ამბავმა უფრო გააძლიერა მათი აღფრთოვანება. ყველა მაჰმადიანი მუშები ეწერებიან მაჰმადიან მუშათა წითელ პოლკებში.

**ნაუენი,** აპრ. 22. ამერიკის სასურსათო კომისიის წევრმა დეპეშით აუწყა პოლონეთის სეიმის ებრაელ დეპუტატებს, რომ პოლონელ ჯარისკაცები გარს შემოერტყენ იმ სახლს, სადაც გამართული იყო თათბირი ებრაელ მცხოვრებთა შორის პურის განაწილების შესახებ, და ყველანი დააპატიმრეს, მათგან 40 დახვრიტეს.

**მოსკოვი,** აპრ. 23. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ცნობა. აპრილის 22. ჩრდილოეთის ფრონტი შერკურსკის მიმართულება. ჩვენმა ჯარმა გრიშინსკოე დაიჭირა. სამხრეთის ფრონტი. მარიუპოლის დასავლეთით ჩვენ მანგუში და თემრუკი დაიჭირეთ. იუზოვკის სამხრეთ დასავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ლუგანსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერ. წინ წავიწიეთ და რამოდენიმე სოფ. დავიჭირეთ. კამენკა ფრიშიცის ხაზზე. აღმოსავლეთის ფრონტი: ურალის რაიონი: მტერმა დიდი ძალებით შემოგვიტია და მკაცრი ბრძოლების შემდეგ რამოდენიმე სოფ. დაიჭირა შიპოვის რაიონში, ურალსკის დასავლეთით 75 ვერ. სიშორეზე. ურალსკის ფრონტთან, სკოვორეშინთან ბრძოლა გრძელდება. ბეგურუსლან-ბუგულმის რაიონი: ბრძოლა გრძელდება. ჩისტოპოლის მიმართულება: ჩისტოპოლის აღმოსავლეთით მიუხედავათ მოწინააღმდეგის დიდი ძალების შემოტევისა ჩვენი ჯარი პოზიციებს არ ანებებს მტერს. ელაბუგის რაიონი: ელაბუგიდან 30 ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

**ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ცნობა.** ჩვენ დავიჭირეთ ორიოლი და კოზლოვი. მარიენბურგის რაიონში ქელეზოვო-პანიკოვიცის ხაზზე მკაცრი ბრძოლაა.

**ლატვიის და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო ცნობა.** აპრილის 22. ბარონოვიჩის რაიონი. ჩერნიგოვთან და იუშკევიჩთან, ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მტრის იერიშები უშედეგო იყო.

## უცხოეთის ამბები
### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ყოფილ კრონ-პრინცის განცხადება.** გაზ. „Dail Exp“ კორესპონდენტს ყოფილ კრონ-პრინცმა განუცხადა:

„გერმანია ვერას დროს სამხედრო კონტრიბუციას ვერ გადაიხდს. ეს უნდა რუსეთმა გადაიხადოს, რადგან მხოლოდ მას თუ შეუძლია. მე ამით არ ვგულისხმობ რუსეთის ხალხთა დამონებას, მაგრამ თუ ანტანტი საქმის გარემოებას მიუდგომლად უყურებს, მაშინ მან უნდა ისეთი ხალხთა ლიგა შექმნან, რომელიც ანგარიშს გაუწევს რუსეთის სიმდიდრეს და საკითხს ისე გადასწყვეტს.

**ოსმალეთის წარმომადგენელნი კონფერენციაზე.**

ოსმალეთის წარმომადგენელნი როგორც მკითხველთა მოეხსენებათ საზავო კონგრესზე არ დაუშვეს.

დიდმა ვეზირმა დამად ფერიდ-ფაშამ მოკავშირეთა კონსტანტინოპოლის კომისრებს კიდევ ერთხელ სთხოვეს მათი წარმომადგენლების კონგრესზე დასწრების უფლება.

კომისრები, როგორც ყველას, მათაც ამ საკითხზე თავის მთავრობასთან მოლაპარაკებას დაჰპირდნენ.

**კოტენის საქმე.**

კოტენმა, რომელმაც კლემანსო დასჭრა, სასამართლოს წინაშე განაცხადა რომ იგი ანარქისტია და ეს მას სანაქებოდაც მიაჩნია. შემდეგ აღელვებულმა წაიკითხა განცხადება რაშიაც ჰკიცხავდა კლემანსოს და ბურჟუაზიას და ამბობდა, თუ მე შევძლებდი თქვენ ხელთაგან გაქცევას ერთს ამისთანა საქმეს კიდევ ჩავიდენდიო.

**კოლჩაკ-დენიკინის შიკრიკები.**

წითელ ჯარის ერთ-ერთ დივიზიის შტაბი გვატყობინებს რომ ორსკის ახლოს მას და წითელ ჯარისკაცებს 4 ოფიცერი დაუჭერიათ, რომელნიც დენიკინ კოლჩაკის ჯარებს შუა შიკრიკობას ეწეოდნენ.

შიკრიკები შორი გზით (ტროიცკ-ბაქო-ფოთით-ნოვოჩერკასკით) ულიდნენ და ისე მიემგზავრებოდნენ დენიკინთან.

ერთს მათგანს კოლჩაკის წერილი აღმოაჩნდა, რაშიაც ის დენიკინ ომში მიიწვევდა: „თქვენი გამოცდილება ამ საშინელ მდგომარეობიდან რუსეთს სისხლ დაუღვრელად იხსნისო“ სწერდა იგი.

**მდგომარეობა ვენაში.**

ლორდთა პალატაში ვერზონმა განაცხადა:

ვენამ იგრძნო ბუდაპეშტის საფრთხის მოახლოვება და ჩვენ შემოგვეთვალა „თუ 10.000 კაციდან შემდგარ ბრიტანიის ჯარს მოგვაშველებთ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა უზრუნველყოფილიაო.

**მუშათა კითხვა საბჭოთა რუსეთში.**

ერთ-ერთ ბოლშევიკურ „პროფესიონალურ მოამბე“-ში შემდეგი სწერია:

„მოთხოვნილებანი ზედმეტი განსაზღვრული დროის და ნარდათ მუშაობის მოსპობისათვის თანდათან პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებენ წარმოებაში. როგორც დროებითი აუცილებლობა შემოღებულ იქნა ნარდათ მუშაობა კავშირების კონტროლების ქვეშ.

იმ წარმოებაში, რომლებთაც ნაციონალიზაციას უშვერება საბჭოთა მთავრობა, წესდება დეტალური სპეციალიზაცია მუშაობისა ხდება დამატებითი დაჯილდოვება მუშებისა ჩქარი და კარგი საქონლის დამზადებისათვის. ბოლშევიკებმა პროფესიონალური მოძრაობის მთელ ფრონტზე დააყენეს კითხვა გარანტიისა მუშაობის განსაზღვრული რაოდენობისა განსაზღვრული საფასურის მიცემით.

„პროფ. მოამბე“ აღნიშნავს, თუ როგორ აიწია შრომის ნაყოფიერებამ პუტილოვის ქარხნის ციხეში, ბრონლეის ქარხანაში, განენტალში და სხვა პროვინციალურ წარმოებებში. აღსანიშნავია, რომ ნარდი სამუშაოს ასაწევად ნორმის ზევით დაწესდა 50 პროცენტი. მაგრამ ამ ზომებს აფერხებს, როგორც სათბობი მასალის და ნედლეულობის სიმცირე და მოუწესრიგებლობა ბაზრისა. რადგანაც მუშები ქალაქებიდან შესამჩნევად წავიდ-წამოვიდნენ, ჩრდილოეთის ქალაქები საჭიროებენ მუშა ხელს, როგორც შავ მუშებს, ისე კვალიფიციურს. სოფლებში წასვლა მუშებისა აიხსნება სიმშილით. შეუძლებელია მუშა ხელის ნაკლებობა შევსებულ იქნეს, როდესაც ასეთი სასურსათო კრიზისია“.

**საქართველოს ამბები ყუბანში.**

ეკატერინოდარის გაზ. „ტერსკი კაზაკი“ ს № 51-ში მოთავსებულია ცნობა ახალქალაკის ამბებზე.

„ტერ-კაზ.“-ს ატყობინებენ თითქოს სოფ. ტროიცკისთან მდგარ ქართველ რაზმზე იერიში მიიტანა მაჰმადიანთა ცხენოსან ასეულმა ქართველები სასტიკად დაამარცხა და სომხეთის ტერიტორიაზე გადარეკა, სადაც ნეიტრალიტეტის უფლებით მათ იარაღი აჰყარეს.

**საქართველოს მცხოვრებთა ხულიგური განწყობილება.**

იმავე გაზეთში მოთავსებულია ცნობა ვითომც საქართველოს მოსახლეობა ძალიან მტრულად უყურებდეს მთავრობას, და ვითომც რუსეთის მმართველობის აღდგენას ჰნატრობდეს.

**ჩინეთი და „ოპიუმი“.**

როგორც შანხაიდან ყუბანში ატყობინებენ მთავრობას გადაუწყვეტია სრულიად მოსპოს თერიაყის (ოპიუმი) ნაშთიც კი, რაც რამდენიმე მილიონის ღირებულებას წარმოადგენს.

**კოლჩაკის გამარჯვება.**

ბოლშევიკების წინააღმდეგ მომქმედ ძალთა ოფიციალური ცნობით სამხრეთ აღმოსავლეთის სექტორში გენ. ხენჟინის ჯარმა ბოლშევიკებს მენზელინსკიდან დასავლეთით 15 მილით (105 ვერსით) დაახევინა. ბოლშევიკების ჯარი განადგურებულია; ტყვედ წაიყვანეს 2 პოლკი, წაართვეს 72 ზარბაზანი, 3.000 თოფი და დიდძალი სამხედრო დავლა. ორენბურგის მხრით კი ისე ჩქარა იხევენ რომ კოლჩაკის ჯარი მათ ვერ დასწევია.

**ეკატერინოდარის გაფიცვები.**

როგორც ეკატერინოდარის დეპეშათა სააგენტო იტყობინება რომ ეკატერინოდარის გაფიცვებისა და ნოვოჩერკასკის აღების ცნობა სიმართლეს არ შეეფერება.

**მოხალისეთა დეკლარაცია.**

მოხალისეთა არმიის მომავალ დეკლარაციის როგორც თითონ იტყობინება საფუძვლად ექნება შემდეგი პრინციპები: 1) ბოლშევიკებთან ბრძოლა, 2) ხალხის უფლებამოსილ ორგანოს მოწვევა, 3) მიწა მშრომელთათვის.

## კორესპონდენცია

### ქ ა რ თ ლ ი.

ცხოვრების ანარეკლი.

თბილისიდგან ქართლში გამგზავრებულ ადამიანს მგზავრობის სიძნელეს ჯერ თბილისის სადგურზე შეეყრება. ხშირად ორ მატარებელს კუდში დგომით კასასთან-უნდა უცადოს რომ ბილეთი როგორმე აიღოს. ვაგზლის დარბაზში ხელსატაც ხურჯინსაც აღარ შეგატანინებენ, თი იქ ვისმეს „ნასილჩიკს“ მიაბარეო. აღარ იცი ბარგზე დაიჭირო თვალი თუ ბილეთის აღების რიგს მოუცადო. ვაგონში შესვლა და იქ ადგილის შოვნისათვის ხომ მთელი ტანჯვა უნდა განიცადო. თუმცა პლაცკარტი ნაყიდი გაქვს, მაგრამ სად ჩამოჯდე არ იცი. მთელი ჩამოსაჯდომი სკამები, გასაშლელი ტახტები და ბარგის დასაწყობი თახჩები ხალხით არის გატენილი. გასავლელ-გამოსავლელი გზები ვაგონში არ არის. გიკვირს კაცს, რას ნიშნავს ესა? ნუ თუ თითო კაცის დასაჯდომ ადგილზე შვიდსა და რვა კაცს აძლევენ ბილეთსა?

მივედით ქ. გორში ამ წვალებით. დღე წვიმიანი იყო. ცხინვალისკენ მივდიოდით. მოვიკითხე ეტლი, თითო კაცის ადგილი ოცდა ხუთი თუმნნი ეღირებაო!.. გავკვირდით. ეს რა ამბავია? მაგრამ სანამ გაკვირვება გადამივლიდა, სხვებმა მისცეს ოცდა ხუთი თუმანი თითო ადგილში და გაუდგნენ გზას. მე ფეხით გავემგზავრე და თითქმის ფეხ და ფეხ მივდევდი ეტლს. საშინელი ტალახიანი გზა, მეტადრე გორის პირშივე, ცხენებს ერთ ალაგას აბამდა და რის ჭაპან-წყვეტით მიათრევდნენ ეტლს. მივედი კარალეთში. ეს სოფელი, ამბობენ, უწინ თამარ დედოფლის სააგარაკო იყოვო, ეხლა კი საშინელებაა, სწორეთ, ასეთი ბინძური ტალახიანი სოფელი ქართლში მეორე არ მოიძებნება. აქაური შესანიშნავი წყაროები ზამთრის გვალვის გამო დამშრალან. მ. ერისთავის გამართული წყაროში მარტო გუბე ლა სდგას. ამ გუბიდგან იღებენ წყალს კარალელები. მწყუროდა, გემოთი ვნახე, ისეთი სიმწარე და შმორი ვიგემე რომ უმალ პირიდგან გამოვაქციე წყალი. ამ სოფელში ამის გამო, რომ ამ საძაგელ წყალს სმენ, ავათმყოფობა საშინლად არის მოდებული, დღეში ხუთი და მეტი მიცვალებული არის. სასაფლაო გამსილა. ხნიერი კაცები მუშაობენ, ჯეილები არა სჩანან.

„ბიძია, შენ მოხუცებული კაცი ხარ, სახლში დაისვენე, ჯეილებმა იმუშაონ,“ ვეუბნები ერთ კაცს.

— „ეეჰ, სად არიან ჯეილები, ამ ოხერმა ავადმყოფობამ სულ ჯეილები დახოცა. ნეტა სულ კარგები მაინც არ იხოცებოდნენ, გაანახევრა სოფელი, პატრონი არავინა გვყავს“.

— ექიმი არ მოდის?

— მოდის ხანდახან, დაგვიწერამს წამალსა, გორში გაგვგზავნის, ისევ გორელების ხელში გვყრის, ექიმი ის არის წამალი თან მოჰქონდეს! ვაი ჩვენი ბრალიცა.

კარალეთში ბლომათ არიან სამიკიტნო დუქნები. ერთ მათგანში გვარდიელი იარაღ ასხმული და რამდენიმე ჯეილი ქეიფობდნენ, ხან ჩხუბი მოსდიოდათ და იარაღით ერთმანეთზე იწევდნენ, ხან ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ჰა, ქალაქიდამ მოდიხარ, რა ამბავი მოგვიტანე, მეკითხებიან. კარგი ამბავია მშვიდობა, ახალციხისკენ ჩვენი ჯარის გამარჯვება.

— მე იქ ვიყავი, სთქვა გვარდიელმა, და მოჰყვა სიმღერას.

ბიჭო და ეხლა იქ ახალციხისკენ ხალხი აყრილა გაქცეულა, სოფლები დაცლილა, და ჩვენი მთავრობა ცდილობს ქართველებით დაასახლოს ის ქვეყანა და არ გინდათ წასვლა? შევეკითხე მე.

— „ქართველები კი არა და, არ იქნება მთავრობამ გადაასახლოს იქა თავადები, სომხები და ოსები? მიპასუხა ერთმა ხნიერმა ქართველმა, დინჯათ.

სჩანს თავადები, სომხები და ოსები მოსძულებია მეთქი ვიფიქრე, გლეხები ქართველებათ მარტო თავიანთ თავს აღიარებენ. გზა და გზა სოფლებში, ტყვიავში, ტირძნისში ერგნეთში სულ ახალი დასაფლავებული ეჩხირება ხალხს თვალში. ხალხი ტიტველი, და ჩამომხმარია. სიღარიბე აუწერელია, თუმცა ყველა დარწმუნებულია რომ ქართველი სოფლელი ფულით გატენილია. ამნაირი ას კომლში შეიძლება ერთი იყოს. ვისაც ქონდა ჭირნახული და ხილი, დროზე იგდეს ხელში სპეკულიანტებმა და სოფელი ცარიელზე დარჩა.

მოველ ცხინვალში. ცხინვალს ოსურათ „ჭრება“ ეწოდება. თუმცა ქართლის დაბაა, მაგრამ ვერც ერთ დუქანზე და მაღაზიაზე ქართულ წარწერას ვერ ნახავთ, გორში კი დუქნის წარწერების ნაციონალიზაცია მოუხდენიან, მთავარ დუქნების დუქან მაღაზიებზე ქართული წარწერებია, უფრო კი სომხებისაზე, მაგალ. დონდარიანისა, კუმელიანისა და სხვა და სხვაიანებისა, ცხინვალში კი ერთი მაგალითიც არ არის ასეთი, იმიტომ რომ ცხინვალი ანუ ჭრება სადავო სოფელია ოსებისაგან. აქ მარჯვეთ მოქმედობს ოსების ეროვნული საბჭო, უფრო „სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო“, რომელსაც ოსები თავის მთავრობათ აღირებენ. ცხინვალში არსებობს საქართველოს მთავრობისაგან ნება დართული ოსების გიმნაზია, საიდანაც ყოველ დღე დასაკრავ ინსტრუმენტებიდგან ისმის რუსული ჰიმნისა და სამგლოვიარო მარშის ხმის ვარჯიშობა. საკვირველია ღმერთმანი, მამის სული გაეშვათ და პაპის სულს ფიცულობდნენო. ჯავა ცენტრია ოსებით დასახლებულ ქვეყნისა და იქ მორიდებიან გიმნაზიის გახსნას, და აქ ცხინვალში „ჭრებაში“—გაუხსნიათ და ჰქმნიან ცენტრსა, ყოველნაირსა. როგორც საგანმანათლებელს, კომერციულს ისე ადმინისტრატიულსა. ნამდვილად კი ჯავა ან მსხლებია ცენტრი, ყოველი ოსების ხეობებიდგან მარჯვე გზები გადმოდიან აქეთ. სამხრეთ ოსეთი თუ დვალენი?

დიდი ლიახვის ხეობა, ცხინვალს ზევით ვახუშტის გეოგრაფიით ცნობილია „დვალენი“-თ. ვიდრე სოფელ კოშკამდის. კოშკას ზემოთ კი დღესაც მაღლა დოვლეთი ჰქვიან. ახლა კი როგორღაც ყური ეჩვევა ოსების შოვინისტებისგან გამოგონილს ტერმინს „სამხრეთი ოსეთი“-სას. ეს გაუგებრობა უნდა განმარტებული იყოს უსათუოთ. „სამხრეთი ოსეთი“ არას დროს არა მხარე არა წოდებულა და ვერც სამზღვრებს იპოვნიან.

სამხრეთის მხარეს, მარტო ჩრდილოეთით არის ოსებით დასახლებული ქართლის ჩდილოეთი მთიანი ქვეყანა კავკასიონის მთაგრეხილით შემოსაზღრული. სომხეთში კი ოსები ჩამოსახლებულან სულ სამოცი წლის განმავლობაში ზოგიერთა ქართულ ნასოფლარებში და ქართველებში არეულან, ზემო ქართლში, სამაჩაბლოში ამუ დვალეთში, პატარა ლიახვის ხეობაში ვიდრე ქსნის ხეობამდე. ნაწილი ოსებისა გადასახლებულა გუჯარეთში ანუ თრიალეთის მთებში და აქა იქ, სხვა საქართველოს ნაწილებში ვიდრე ლაგოდეხამდე.

**უბედური შემთხვევები.**

დვალეთში ანუ დიდი ლიახვის ხეობაში მიწის საკითხმა დიდი არევ დარევა გააჩინა. ჯერ საადგილმამულო კომისია აქეთ არა ყოფილა. სახნავ სათესი მიწები და ბაღ ვენახები სასოფლოთ შეიმუშავეს, მაგ. თამარაშენში ვ. მაჩაბლისა, იმ პირობით რომ როგორც გადასწყდებაო, შემდეგში ისე გავიღებთ ღალა კულუხსაო, არა და მუშაზე გავიყოფთ შემოსავალსაო.

ნორმის მიღების მომლოდინე ყოფილი მემამულეები უკვე ჰყიდიან თავის მისაზომ მამულებს წინასწარ. მაგალითად: ს. ქურთაში გაჰყიდა ათი დესეტინა მამული ოცდაათ კომლ ქურთელ გლეხზე და მღვდელზე 67000 მანეთად. ერთი დესეტინა სახნავი სარწყავი მიწა გაჰყიდა ვანო ბერძნიშვილმა ხუთ კომლ გლეხზე 65 კოდ პურის ფქვილად ფულად ღირებულობაზე 42250 მანეთად! არც ერთ მტკაველ მიწას ვერ იყიდის კაცი მარტოკა, უეჭველად შემცილებლები გაუჩნდებიან და როცა ფასს საზღაპრო დონემდე ასწევენ, მაშინ ერთი ათად ყიდულობენ. ასეთ [illegible] აწევის გამო [illegible] თელმა სოლო ჭულუხაძემ დაახრჩო თავის თანამგზავრი მეზობელი გიორგი ხეთაგური, როგორ თუ შემეცილე მამულის ყიდვაში და ფასი ამაწევინეო. ამგვარი უბედურება მამულების გამო ბევრი მოხდა და კვლავ მოსალოდნელია. მთავრობისგან მამულების „გადაცემას“ გაყიდვას გლეხები ჰაიერად უყურებენ, არც უნდათ იწამონ ესა. ისევ პატრონებისგან სყიდვას რჩეობენ.

ამ ხეობაში საშინლად გახშირდა ღამის ქურდობა. ხალხი ჯერ ბოსლებში სცხოვრობენ საქონელთან. საცხოვრებელი სახლებში აქვთ შენახული. აი ამ დაკეტილ სახლებში იპარებიან ღამის ქურდები და გააქვთ ყველაფერი რის წაღებაც შეიძლება, ჭინახული, ავეჯი, ფართალი, ლოგინი და სხვა. ყოველ სოფელში თითქმის ცოტაოდნათ მქონებელი გლეხი არ გადარჩა გაქურდვას. ყარაულს არ აყენებენ, არც ადგილობრივი კომისრები და მილიციონერები შფოთდებიან ამ ნაირი ბოროტების გამო, და ქვეყანა ოხრავს და ვის იყრის თავსო. მაღლა დოვლეთში ს. კოშკაში ღამე ავაზაკები თავს დაესხნენ აპრილის 13 შეძლებულ ოსს გიგო გაგლოშვილს და მოჰკლეს თავის ცოლითა, რაც რამ ებადა საცხოვრებელი წაიღეს. დვალეთში და მაღლა დოვლეთში ყოველივე დანაშაული დაუსჯელად რჩება.

სხვაფრივ აქეთ მშვიდობაა. ჭირნახულებს ძველ თესლებს კარგი პირი უჩანს. ხილის ბაღების მოსავალი მოსალოდნელია, ბაყლები ამ თავითვე დიდ ფასებს აძლევენ ხილის მოსავალში, ბევებს უხვად ურიგებენ. პურის ფასი კოდი (4 ფ.) 65 თუმნამდის ავიდა, სიმინდისა 32 თუმნამდის კოდი. ღვინო 65 თუმნამდის კოკა (5 ფუთი) კვერცხი 100 ცალი 130 მან. ბატკანი—100—300 მანეთი. ხარი—3000—5000 მანეთი.

ა.—ლი.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—სალ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა სალ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო სალ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა სალ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო სალ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა სალ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


ე ქ ი მ ი

**ა. მ. პაატაშვილი**

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).
(25—2324—1)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—43


სტამბა კულუნდჟიისა, გამგეთის შესახვევი № 4.